# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 25 ნოემბერი 2005 №271 (2594) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# KÖNIG KOBI

## პირველი ქართული ჰეთ თრიქი ჩემპიონთა ლიგაში

ინტერვიუ „შალკეს" ლიდერ ლევან კობიაშვილთან






## ბაირამ თუთუმლუ: თქვენი ნაკრების მწვრთნელზე სკანდინავიიდან ვმუშაობ

გახსოვთ ბაირამ თუთუმლუ? ეს ის თურქი აგენტია, საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცად ანრი მიშელი რომ მოჰყავდა, ჩამოიყვანა კიდეც თბილისში, მაგრამ ფეხბურთის ფედერაციის მაშინდელმა პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ თუთუმლუს კლიენტს მიშელ პლატინის მეგობარი ალენ ჟირესი ამჯობინა.

ჩვენი უპირველესი გუნდი კვლავ უმთავარმწვრთნელოდაა, კვლავ უცხოელ სპეციალისტს ელის და თუთუმლუც კვლავ ცდილობს, მწვრთნელი გამოგვინახოს.

— ამ დროისთვის სკანდინავიაში ვარ და ძალიან დაკავებული გახლავართ, მაგრამ თან საქართველოს ნაკრებისთვისაც ვეძებ მწვრთნელს. უკვე შევუდექი საქმეს და დავუკავშირდი კიდეც რამდენიმე მწვრთნელს, რომელთა ვინაობას ჯერ ვერ გაგიმხელთ. დასამალი არაფერი მაქვს, უბრალოდ, რაღაც-რაღაცებია გასარკვევი. რამდენიმე დღეში დამირეკეთ და ალბათ გეტყვით, თუ რომელ მწვრთნელს ვთავაზობ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას.

**დავით თავართქილაძე**

## ვალერი ჩოლარია: მომეცით აღმასკომი!

## ყოფილმა გენმდივანმა სიტყვა მოიფიქრა და საათზე დაიხედა



# ვალერი ჩოლარია: სიტყვას ვიტყვი...



*საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცისგან შერისხული ვალერი ჩოლარია უცხოეთიდან თბილისში გუშინ დაბრუნდა და გუშინვე ოფიციალური განცხადება გააკეთა, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ.*

*იქამდე კი მოკლედ შევახსენებთ, რომ ნოდარ ახალკაცმა ამასწინანდელ პრესკონფერენციაზე ფედერაციის ყოფილ გენმდივან ვალერი ჩოლარიას ქართული ფეხბურთის მტერი უწოდა, ყველაფერზე პასუხი მას უნდა მოეთხოვოსო. ახალკაცის თქმით, ჩოლორიამ ფიფა-უეფას სთხოვა, ყველანაირი დახმარების პროექტი („გოლი“, „ჰეთ თრიქი“) საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შეუწყვიტეთო.*

*ახალკაცის ამ განცხადებებით აღშფოთებული ჩოლარია კი პრეზიდენტს ჯერ არცთუ მწვავე განცხადებით პასუხობს და იმედოვნებს, სიმართლის დამტკიცებას ფედერაციის აღმასკომის უახლოეს სხდომაზე შეძლებს. და თუ აღმასკომმა ამის საშუალება არ მისცა, მერე უკვე ქაღალდ-საბუთებით (რისი ასლებიც გუშინვე გვიჩვენა) შეტევასა და ყველაფრის სააშკარაოზე გამოტანას აპირებს...*

პატივცემულო ბატონებო!

„მსურს, თქვენი გაზეთების მეშვეობით მივმართო სფფ-ის აღმასკომს იმ პუბლიკაციებთან დაკავშირებით, რომლებიც საქართველოში ჩემი არყოფნის პერიოდში გავრცელდა მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში და, რომლებიც შეურცხყოფს ჩემს პატივსა და ღირსებას.

გთხოვთ და მოვითხოვ!

აღმასკომის უახლოეს სხდომაზე დღის წესრიგში შეიტანოთ საკითხი სფფ-ის სადღეისო ვითარების შესახებ და მომცეთ საშუალება, მივიღო მონაწილეობა აღნიშნულ სხდომაში.

ჩემის მხრივ, თხოვნით მივმართავ სპორტის დეპარტამენტისა და საქართველოს პარლამენტის იმ წარმომადგენლებს, რომლებიც კურირებენ სპორტსა და კონკრეტულად ფეხბურთს, მიიღონ მონაწილეობა ამ სხდომაში. ამას გარდა მივმართავ ქალბატონ ევა პასკიეს და ბატონ ვალერი ჩუხრის (ისინი კურირებენ ფიფას დახმარების პროგრამა „გოლს“), ასევე ბრუნო ვოლფისბერგს (უეფა, „ჰეთ თრიქი“), რომ დაესწრონ აღმასკომის სხდომას. წინასწარი თანხმობა მათგან უკვე მიღებული მაქვს.

თუ აღმასკომის წევრები არ დააკმაყოფილებენ ჩემს დაყინებულ თხოვნას, ჩემდა სამწუხაროდ, დავკარგავ მეგობრებს, რომლებთან ერთადაც ათი წლის განმავლობაში ვმუშაობ ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ და ჩავთვლი, რომ საქმისადმი აღმასკომის ამგვარმა მიდგომამ 8-10 წლით შეაფერხა ქართული ფეხბურთის განვითარება.

ამ სხდომაზე თან ვიქონიებ მაჯის საათს, რომლითაც პენსიაზე გასვლის წინ დამაჯილდოვეს გაწეული მუშაობისთვის და სხდომის შედეგის მიხედვით ცხადი იქნება, ეს საათი ჩემთან უნდა დარჩეს, თუ პროტესტის ნიშნად დავუბრუნო აღმასკომს.

გაზეთ „სპორტში“ იყო გამოქვეყნებული მიმართვა აღმასკომის ყველა წევრისადმი, არ მიეღოთ კონკრეტული გადაწყვეტილება, მაგრამ აღმასკომმა არ შეისმინა ეს განცხადება.

„სარბიელში“ დაიბეჭდა სათაური, რომლითაც ქართული ფეხბურთის დღევანდელი მდგომარეობა იყო შეფასებული. ქართული ფეხბურთი არ იმსახურებს ასეთ დამცირებულ ყოფას.

თუ აღმასკომი არ შეიკრიბება და არ მომეცემა საკუთარი პოზიციის დაფიქსირების საშუალება, ეს ხელ-ფეხს გამიხსნის, ვუწოდო უკვე მოფიქრებული სიტყვა ადამიანს, რომელიც თვლის, რომ ვალერი ჩოლარიას შეუძლია, ზიანი მიაყენოს ქართულ ფეხბურთს.“

**ვალერი ჩოლარია**

გაზეთ „24 საათის“ პრესომბუდსმენი, იტალიანისტი, საზოგადოებრივად აქტიური ტიპი და ნათლად მოაზროვნე ადამიანი – ასეთია ჩვენი რესპონდენტის, ნოდარ ლადარიას პროფაილი, ვისაც საზოგადოებრივ-საფეხბურთო ინტერვიუ ჩამოვართვით. მაშ ასე, "სარბიელის" კითხვებს ლადარია პასუხობს...



# რა არის ფეხბურთი? ინიციატივა და მორჩილება

### აქ მოკარნახე მოდის, ვისიც უნდა შევისმინოთ

— ქართულ ფეხბურთში ახლა ყველაზე აქტუალური თემა ეროვნულ ნაკრებში ახალი უცხოელი მწვრთნელის დანიშვნაა. რა მენტალიტეტის მწვრთნელი სჭირდებათ ქართველებს? როგორ ფიქრობთ, მენტალიტეტის თემის გამძაფრება რამდენად უპრიანია ასეთ დროს?

— ფეხბურთი ინგლისში წარმოიშვა როგორც კოლექტიური თამაში, რაც უკვე გამოხატავს მენტალობას და სულისკვეთებას და ყველაფერი ეს შეგვიძლია, დავუკავშიროთ ინგლისურ დემოკრატიას, კიდევ, იქაური უნივერსიტეტების დამახასიათებელ კორპორაციულ სულისკვეთებას. ინგლისის ელიტარულ უნივერსიტეტებში ძალიან სერიოზულად უყურებენ იმას, თუ როგორ წარმოაჩენს თავს სტუდენტი სპორტის გუნდურ სახეობებში — ინიციატივა და მორჩილება — ასეთ დროს ამ ორი თვისების სინთეზი ხდება. ვფიქრობ, ამიტომაც არ არის დამოკიდებული ფეხბურთი ეთნიკურ მენტალობაზე. თუმცა ნებისმიერ ერს შეუძლია, თავისი რამეებიც დაამატოს ფეხბურთს, მაგალითად, ხომ განსხვავდება ერთმანეთისგან სამხრეთამერიკული და ევროპული ფეხბურთი?! ყველაფერ ამით იმის თქმა მსურს, რომ უცხოელი მწვრთნელი აქ მოდის როგორც მოკარნახე და, თუ არ გამოვიჩინეთ მოსმენისა და შესმენის უნარი, წარმატებას ვერ მივაღწევთ.

— თქვენ იტალიაში ცხოვრობდით და რა ტენდენციები შეამჩნიეთ იქ?

— იტალიაში 1992-96 წლებში ვცხოვრობდი. როცა იტალიის ეროვნული ნაკრები ამერიკაში მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გავიდა, მაშინ სილვიო ბერლუსკონი პოლიტიკურ კარიერას იკეთებდა. ბევრი იტალიელის აზრით, იტალიას ფინალში არ უნდა გაემარჯვა, რადგან ასეთ შემთხვევაში ყველაფერი ბერლუსკონის სასიკეთოდ მოხდებოდა, ხალხი მას მიცემდა ხმას, ბერლუსკონი იტალიის ნაკრების გამარჯვებას სათავისოდ გამოიყენებდა. ერთმა იტალიელმა, ველოსპორტის მოყვარულმა ისიც მითხრა, ფეხბურთი სპორტის სახეობა არაა, ფეხბურთს საათნახევარი თამაშობენ და ამით მილიარდობით ლირას იხვეჭენო. საქმე ის არის, რომ ფეხბურთი იტალიაში უფრო შოუა, ვიდრე სპორტის სახეობა. ისე, იტალიაში ერთი მონაზონი კატერინაა, ვინც ერთ-ერთი კლუბის დიდი ქომაგია და ეს კატერინა იტალიაში კათოლიკური ფეხბურთის სიმბოლოდ ითვლება.

### სამმაგი სისულელე

— ხელისუფლება და ფეხბურთი — ეს თემა საქართველოშიც აქტუალური გახდა. ალბათ იცით, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ბოლო არჩევნებში ხელისუფლების ფავორიტმა გაიმარჯვა და, როგორც ამბობენ, ამაში ქვეყნის პრეზიდენტის ხელიც ერია — თქვენ, როგორც ამ ხელისუფლების ერთ-ერთი მომხრე, ამას რა კომენტარს გაუკეთებდით?

— ამ ხელისუფლების მომხრე ვარ იქამდე, სანამ ეს ხელისუფლება არ ზღუდავს ჩემს აზრს მის მიმართ. ხოლო, თუ ყველაფერი მართლაც ასე მოხდა, მაშინ სისულელე მომხდარა — პირველი: ფეხბურთში ასეთი ჩარევა არაკომპეტენტურია, მე მჯერა სააკაშვილის, როგორც პრეზიდენტის, მაგრამ არ მჯერა მისი, როგორც ფეხბურთის სპეციალისტის; მეორე: ამგვარი ავტორიტარული ჩარევა ფეხბურთში ამარცხებს საპრეზიდენტო ხელისუფლების იდეას საქართველოში; მესამე: ეს სახიფათოა საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით მაშინ, თუ საზოგადოება გულგრილი რჩება ხელისუფლების ასეთი საქციელის მიმართ და ეგუება ყველაფერ ამას.

მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, რომ აქ მხოლოდ ხელისუფლების ქმედებაში როდია საქმე — ფედერაცია თავის ადგილზე რომ იდგეს, ყველაფერი ნორმალურად და უმწიკვლოდ რომ ჰქონდეს, ხელისუფლებისგან მის საქმეში ჩარევას არ დაუშვებდა.

— და ბერლუსკონი უყვართ იტალიაში?

— მას შემდეგ, რაც ბერლუსკონიმ პოლიტიკაში წარმატებებს მიაღწია, მის კლუბს გულშემატკივარი მოაკლდა, თავისუფალი იტალია უფრო „იუვენტუსს“ ქომაგობს.

### ფედერაციის ირგვლივ ვხედავ ყველაფერს, ფეხბურთის გარდა

— როგორ ფიქრობთ, რა არის ფეხბურთი საქართველოში?

— ჩვენ არ მოგვწონს ის, სადაც ვერ ვიმარჯვებთ, გამარჯვება უფრო მოგვწონს, ვიდრე თამაში. მაგრად ვიმუშაოთ, მძიმე რაღაც გადავაგოროთ — ასეთ რამეს ქართულ ფეხბურთში ვერ ვხედავ, ვერ ვხედავ თავგანწირვას და საქმის გულისთვის რაღაც-რაღაცების დათმობის სურვილს. ზოგადად, ფეხბურთის ფედერაციის ირგვლივ ვხედავ ყველაფერს, ფეხბურთის გარდა, თითქოს ფეხბურთის ფედერაციაში თვითონ არ სჯერათ, რომ კარგი საქმის გაკეთება შესაძლებელია. მათთვის, ალბათ, უფრო პირადი კეთილდღეობაა მთავარი.

— იტალიური სპორტული მედიის ჟურნალისტურ ეთიკაზე რას იტყვით?

— ჟურნალისტური ეთიკა იტალიაში კრიმინალური თემების გაშუქებისას თუ ირღვევა, სპორტში კი ეს გამორიცხულია. ჟურნალისტური წერილი იტალიაში შუღლით არ იწერება, ეთნიკური თუ სხვა რაიმე სახის სიძულვილი გამორიცხულია და საერთოდ, იტალიაში უკიდურესობები არ ხდება, ხალხი იქ ზომბირებული არ არის, ცალცალკე იქ ყველა პიროვნებაა, რომელსაც ემოციის გამოხატვის კულტურა აქვს.

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# KÖNIG KOBI

ლევან კობიაშვილი — გერმანული გაზეთები ქართველი ნახევარმცველის ფოტოებით აჭრელდა, „ბილდის" პირველ გვერდზე მყვირალა სათაურია — „სუპერ-კობი", ხოლო „კიკერისაზე" — „კიონიგ-კობი" (მეფე კობი).

ლევანი პირველი ქართველი ფეხბურთელია, ჩემპიონთა ლიგაში ჰეთ თრიქი რომ გააზერხა და, მოდით, ნუ დავაკნინებთ მის გარჯას იმის გამო, რომ აქედან ორი გოლი პენალტით შეაგდო — „კობის" ეს პენალტებიც ეკუთვნოდა, იგი ნაღდად საუკეთესო იყო „შალკე" — პსვ-ს უპრინციპულეს მატჩში...




## ლევან კობიაშვილი: თუ ხვალ ხსნიან, დღეს ნუ დანიშნავენ

— დიდებული ფეხბურთი ვაჩვენეთ, კარიერაში ეს ჩემი პირველი ჰეთ თრიქია, მთავარი კი ისაა, რომ „შალკემ" მერვედფინალში გასვლის შანსი დაიტოვა — გვითხრა ლევანმა, რომელსაც გუშინ გერმანიაში შევეხმიანეთ — ძალიან გახარებული ვარ. გუნდი რომ 3:0 მოიგებს და სამივე გოლს შენ გაიტან, ეს ნებისმიერი ნახევარმცველისთვის ფანტასტიკური შედეგია, მით უმეტეს, უმნიშვნელოვანეს თამაშში.

— „ფრაიბურგში" კი იყავი შტატიანი პენალტისტი, მაგრამ „შალკეში" ეს მისია აქამდე არ გქონდა...

— საქმე ისაა, რომ „შალკეში" სეზონის წინ პენალტისტად ლინკოლნი ითვლებოდა, მაგრამ მან წლეულს ორჯერ გააფუჭა თერთმეტმეტრიანი და თვითონვე თქვა, აღარ დავარტყამო. მეორე პენალტისტი დანიელი სორენ ლარსენია, მაგრამ იგი მინდორზე არ იყო და, ჩემდა გასახარად, შანსი მომეცა. ორივე პენალტისას თავდაჯერებული ვიყავი და ეჭვიც არ შემპარვია, რომ გავიტანდი.

— ისე ჩანდა, თითქოს იოლად მოიგეთ. არადა, პსვ ღონიერი გუნდია და გუს ჰიდინკი ჰყავს მწვრთნელად...

— ანგარიშიდან მართლაც იოლად მოჩანს ყველაფერი, მაგრამ პირველი ტაიმში გვიჭირდა და პსვ-ს შეეძლო გატანა, თუმც მეორე ნახევარში ჰოლანდიელებს მომენტი არ ჰქონიათ, აშკარად ვაჯობეთ. ჩვენმა დაცვამ კარგად ითამაშა, ესაა მოგების უმთავრესი მიზეზი.

— „შალკე" ერთი გამოკვეთილი თავდამსხმელით თამაშობდა, შენ კი თითქმის გარემარბი იყავი და შეტევებში ჩვეულებრივზე აქტიურად ერთვებოდი. რალფ რანგნიკმა საბოლოოდ მიგიჩინა ეგ პოზიცია?

— ჯერ არ ვიცი. შესაძლოა, რანგნიკმა ისევ ორი თავდამსხმელი დააყენოს და უფრო უკან დავიხიო ფლანგზე, ან სულაც საყრდენ ნახევარმცველად ვითამაშო. ისე კი, პსვ-სთან თავს გალაღებულად ვგრძნობდი, ძალიან მომეწონა ახალი პოზიცია. „ფენერბაჰჩესთანაც" გარემარბი ვიყავი. თუმცა იმასაც ვიტყვი, რომ ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს, რა ადგილს მიმიჩენენ — მთავარია, მინდორზე გავიდე, ვითამაშო და გუნდმა მოიგოს.

— მიუხედავად მოგებისა, „შალკეს" მაინც ძალიან გაუჭირდება ჯგუფიდან გასვლა. პსვ „ფენერბაჰჩეს" ალბათ მოუგებს და ამ შემთხვევაში „მილანის" სტუმრად ძლევა დაგჭირდებათ...

— რას იზამ, ასე წავიდა საქმე. პსვ-სთან სტუმრად წაგებამ ჩაგვაგდო ცუდ დღეში, ის თამაში აშკარად ჩავაგდეთ, მას შემდეგ კი ლიგაზე ოთხივე მატჩი მაღალ დონეზე ჩავატარეთ. რა თქმა უნდა, „ფენერბაჰჩეს" იმედად არ ვიქნებით, მაგრამ „მილანთან" სტუმრად მოგება როგორია, ესეც გეცოდინებათ...

— შაბათს ბუნდესლიგაშიც უპრინციპულესი თამაში გაქვთ, შინ „ვერდერთან". „ბაიერნს" საკმაოდ ჩამორჩით და კიდევ ფიქრობს „შალკე" ჩემპიონობაზე?

— ამას სწორედ „ვერდერთან" თამაში გადაწყვეტს. „ბაიერნთან" რვა ქულას ვაგებთ და სხვაობა კიდევ თუ გაიზარდა... ჩემპიონობა თუ არა, ლიგაზე კიდევ უნდა გავიდეთ.

*ჩემპიონთა ლიგაში „კობის" ჰეთ თრიქი ვის არ გაუხარდა, მაგრამ ქართველ გულშემატკივრებს პირველ რიგში ხომ საქართველოს ნაკრები აინტერესებთ. ნაკრები, რომელიც უთავოდაა და თავკაცის ძებნაშია. უკვე ვწერდით, ამ საქმეში ფედერაციის გარდა ფეხბურთელებიც მონაწილეობენ და ცდილობენ, თავიანთ ნაცნობ მწვრთნელს კბილი მოუსინჯონ... კობიაშვილი ამბობს და სრულიად მართებულადაც:*

— მწვრთნელის დანიშვნა ფეხბურთელის საქმე არ არის, მაგრამ ფედერაციის ხელმძღვანელები თუ ინებებენ, ჩემს აზრს მივაწვდი... ჩემთვის მთავარია, ნაკრებში კარგი სპეციალისტი მოვიდეს, ეროვნებასა და წლოვანებას კი ყურადღება არ უნდა მივაქციოთ. ნუ იქნება მაინცდამაინც სუპერმწვრთნელი — უბრალოდ, იყოს მცოდნე და დისციპლინის მოყვარული სპეციალისტი.

— შენ რომ გკითხოს ფედერაციამ აზრი, ვის ურჩევდი მწვრთნელად?

— თუ მკითხავენ, ჩემ აზრს ვიტყვი, მაგრამ ჯერ ამაზე ლაპარაკი უხერხულია. სხვა მხრივ, მე მოლაპარაკებას ვერც ერთ მწვრთნელთან ვერ დავიწყებ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრ მათგანს ვიცნობ.

— უპრიანი არ იქნება, რომ ახალი მწვრთნელი ხანგრძლივი ვადით დანიშნონ და არა ისე, რომ ერთი-ორი წაგების შემდეგ მოხსნან?

— ამაზე ადრეც ბევრჯერ მითქვამს, რომ მწვრთნელთა ხშირი ცვლა მომგებიანი არავისთვის ყოფილა. რაც აქამდე საქართველოს ნაკრებში ხდებოდა, მსგავსი სხვაგან არაფერი მინახავს — დანიშნავენ, ხსნიან და ასე გრძელდება წლობით. ამიტომაცაა ახლა გადამწყვეტი დრო — ისეთი მწვრთნელი უნდა მოვიდეს, რომელსაც ფეხბურთელებიც და ფედერაციაც ბოლომდე ვენდობით.





**ილია ნანობაშვილი**

# მიხეილ აშვეთია: რუსეთში დარჩენა მინდა

*რუსული პრემიერლიგა დასრულდა და მიხეილ აშვეთიამაც „როსტოვი" დატოვა. საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი ახლა ისვენებს, თვის ბოლოს კი მოსკოვში ჩავა და საბოლოოდ გაარკვევს ურთიერთობას „ლოკომოტივთან", რომელსაც 2006 წლის დეკემბრამდე ეკუთვნის.*

*მიხოს გუშინ დავუკავშირდით და სამომავლო გეგმები გამოვკითხეთ...*



— ახლა ვისვენებ, მალე კი მოსკოვში ჩავალ და სწორედ მაშინ მეცოდინება, სად გავაგრძელებ თამაშს.

— „ლოკომოტივიდან" არავინ შეგხმიანებია?

— ჯერ არა, რადგან გუნდს უეფას თასზე კიდევ დარჩა სათამაშო და ამის დრო არ არის.

— ანუ ჯერ არ იცი, რას გიპირებენ...

— როცა ხელმძღვანელობას შევხვდები, ამას მაშინ გავიგებ.

— უფრო დარჩები „ლოკომოტივში" თუ წახვალ?

— ვერ გეტყვი. ის კი ვიცი, რომ უგუნდოდ არ დავრჩები.

— „როსტოვმა" კიდევ ერთხელ გამოთქვა შენი დატოვების სურვილი...

— ჰო, მაგრამ არა მგონია, „როსტოვში" დავრჩე. ყოველ შემთხვევაში, ახლა ასე ვფიქრობ.

— მოსკოვის „დინამოზეც" იყო ლაპარაკი...

— მე არავინ დამკავშირებია.

— ისიც ვიცით, რომ სხვა ქვეყნების გუნდებიც არიან შენით დაინტერესებულნი...

— რაღაც ვარიანტები ნაღდად არის, მაგრამ უფრო რუსეთში დარჩენა მინდა — იქაურობას უკვე კარგად შევეგუე.

**ბაჩა შალამბერიძე**



## კორღალიძე კონფლიქტმა კუნძულზე ჩაიყვანა

**ფაქტობრივად** გადაწყვეტილი ამბავია: რიგის „სკონტოს" ქართველი ნახევარმცველი ლევან კორღალიძე კვიპროსულ „ანართოსისში" ითამაშებს. მართალია, კონტრაქტი ჯერ არ გაფორმებულა, მაგრამ 25 წლის კორღალიძე ფამაგუსტაში უკვე ჩავიდა და გუნდთან ერთადაც ივარჯიშა.

კვიპროსელები ჩვენებურთან კონტრაქტის გაფორმებას უახლოეს დღეებში აპირებენ და ასეთ შემთხვევაში კორღალიძე მეოთხე ქართველი იქნება „ანართოსისში" თემურ ქეცბაიასთნ, კლიმენტი წიტაიშვილთან და გიორგი გაბიდაურთან ერთად.

შეგახსენებთ, რომ კორღალიძემ „სკონტო" მწვრთნელ პოლ ეშუორტთან კონფლიქტის გამო დატოვა.

**ბაჩა შალამბერიძე**

# ქუთაისში მიდიც შეიძლება და მოდიც

**ღრმა** კრიზისის მერე ქუთაისის „ტორპედო" ფერზე მოდის და, მართალია, სამიოდ დღის წინ თბილისის „ვიტ ჯორჯიასთან" თასის მერვედფინალის საპასუხო მატჩში 0:5 წააგო, მაინც იმედიანად ასრულებს პირველ წრეს. ისე კი, ტორპედოელებს თასზე აქცენტი არც გაუკეთებიათ და ალბათ გავარდნით გული დიდადაც არ დასწყვეტიათ.

ზამთრის შესვენებაზე კი იმერულ გუნდში რამდენიმე სიახლეა მოსალოდნელი. კერძოდ, ქუთაისში უკვე ღიად ლაპარაკობენ რევაზ ძოძუაშვილის დაბრუნებაზე. ამბობენ, რომ ლატვიური „სკონტოს" ქართველი ვიცე-პრეზიდენტი ახალ წლამდე ჩავა ქუთაისში და შესაძლოა, „ტორპედოს" გაწვრთნაზეც ჩამოუგდონ სიტყვა. თუ ასე მოხდა, ახლანდელ მთავარ მწვრთნელ რევაზ ბურკაძეს კლუბი უფრო მაღალ თანამდებობას შესთავაზებს. ეს ინფორმაცია არაოფიციალურია, თუმცა ცეცხლის და კვამლის ამბავი ხომ მოგეხსენებათ...

ამასობაში დიდი შანსია, „ტორპედო" მეკარე ნუკრი რევიშვილმა დატოვოს. მას ყაზანის „რუბინი" ეპატიჟება და ახლა მოლაპარაკების დასრულებას ელის. რა გამოვა ამ საქმიდან, ჯერ ძნელი სათქმელია, ისევე, როგორც ნახევარმცველ კობა შალამბერიძის ბელარუსულ ბატე-ში გადასვლიდან. ტორპედოელთა 21 წლის მარჯვენაფლანგელით ბელარუსები ჯერ კიდევ ზაფხულში დაინტერესდნენ, როცა „ტორპედოს" უეფას თასის მატჩში შეხვდნენ. ჩანს, ზამთრის შესვენების მოახლოებასთან ერთად ბატელთა ინტერესი ისევ ღვივდება.

და ერთიც: რახან ბელარუსი ვახსენეთ, ბარემ იმასაც გეტყვით, რომ ამ ქვეყნის „მტზ-რიპოში" გია თოდუას ტრანსფერი საბოლოოდ გადაწყდა — ფოთის „კოლხეთის" ყოფილი თავდამსხმელი სეზონის წინ წავიდა ბელარუსში და იქაურებს თავი მოაწონა. ახლა კი თოდუა ტრავმირებულია და გუნდს ლიტვურ შეკრებაზე ვერ მიჰყვება, თუმც მის ტრანსფერს ამით არაფერი ემუქრება.

**ლუკა თალაკვაძე**



დაბრუნდება რევაზ ძოძუაშვილი „ტორპედოში"?



კობა შალამბერიძემ ბატელებს თავი ზაფხულში დაამახსოვრა

## ღია წერილი

### საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ბატონ ნოდარ ახალკაცს

ჩვენ ძირძველი ქუთაისელები ვართ. რაც თავი გვახსოვს, ფეხბურთს ვგულშემატკივრობთ. ჩვენს თვალწინ ფეხბურთელთა რამდენიმე თაობას გაუბრწყინებია. ავღელვებულვართ, აღვტაცებულვართ, აღვტკინებულვართ მათ მიერ მოპოვებული წარმატებებით, მათ მიერ წარმოჩენილი დიდი საფეხბურთო ხელოვნებითა და მაღალი, სრულყოფილი ოსტატობით.

ჩვენ, გამორჩეულად, ჩვენი კერპები გვყავდა. ისინი ათეულობით იყვნენ — შეუდარებელნი და სწორუპოვარნი.

...ფეხბურთი ნამდვილად ფეხბურთობდა.

...ფეხბურთელები ნამდვილად ფეხბურთელობდნენ.

...ქართული ფეხბურთი ჭეშმარიტად ზეობდა, მზეობდა და ამაყობდა.

სადღეისოდ ქართული ფეხბურთი მძიმე კრიზისშია. ეს, სამწუხაროდ, რამდენიმე წელია, გრძელდება. საშველი ჯერჯერობით არ ჩანს — იმედისმომცემი სხივი ჯერჯერობით არ აკიაფებულა.

დეგრადაციის გზაზე დამდგარი ქართული ფეხბურთი უფსკრულისკენ მიექანება.

ამას ემატება მეტად უპრინციპო, არაკვალიფიციური მსაჯობა.

ქართველი მსაჯები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ უნიათო საფეხბურთო მატჩებს, ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატის ეგიდით რომ მიმდინარეობს, კიდევ მეტი უხალისობა და ულიმღამობა შემატონ.

აღშფოთებას იწვევს ქართველი მსაჯების მსაჯობა ქართული საფეხბურთო კლუბების მატჩებში (კიდევ კარგი, მათ საერთაშორისო არენაზე არ იწვევენ, თორემ ხომ მთლად გავმასხარავდებოდით).

სამარცხვინოა მათი ქმედება.

ცინიზმს ეტოლება მათი საქციელი. სამწუხაროდ, არა ერთი და ორი მაგალითის მოყვანა შეგვიძლია.

ჩვენ, ქუთაისელი ფეხბურთის გულშემატკივრები — ბევრისმნახველნი და ბევრისგადამტანნი — მოვითხოვთ, რომ ქართული საფეხბურთო თემიდა — ქართული საფეხბურთო მსაჯობა იყოს ღრმად კვალიფიციური, განსჯადი და აზრიანი.

ჩვენი მოთხოვნაა, ქართველმა მსაჯებმა ისწავლონ მსაჯობა!

**საზოგადოება „ბალისძიდე"**

**ფეხბურთის გულშემატკივრები**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გზა შინისკენ



ალექს ფერგიუსონს „რეინჯერსმა“ უხმო

„გლაზგო რეინჯერსმა“ გამოაცხადა, რომ ცდას არ დააკლებს, რათა თავის ახალ მენეჯერად სერ ალექს ფერგიუსონი იხილოს.

ეს განცხადება არის გაგრძელება იმ თემისა, რომ სეზონის ბოლოს ფერგი „მანჩესტერს“ დატოვებს. ჭორების სხვა ვარიანტით, თუ „მანჩესტერი“ ჩემპიონთა ლიგის შემდეგ ეტაპზე ვერ გავა, გუნდს იანვარშივე ახალი მწვრთნელი ეყოლება. თუმცა, ისიც ძნელი წარმოსადგენია, რომ გლეიზერთა ოჯახმა ნაჩქარევი გადაწყვეტილება მიიღოს.

კონტინენტიდან კი „მანჩესტერის“ ფანთა საიტს შეეხმიანა ერიკ კანტონა, რომელსაც ადრე ნათქვამი ჰქონდა, რომ უარს არ იქნებოდა, ფერგის შემდეგ გუნდის სათავეში მოსულიყო.

„სანამ კლუბში გლეიზერები არიან, მაქეთ გამომხედავი არ ვარ — თქვა კანტონამ — მათ ფეხბურთისა არაფერი იციან. იანვრის ფანჯარაზე თითქოს ფულს აძლევენ სერ ალექსს, მაგრამ ამ ფულით ვარსკვლავს ვერ იყიდი. და საერთოდ, „მანჩესტერი“ „ჩელსი“ არ არის, რომ ერთი პატრონი სჭირდებოდეს. ის ბევრად დიდი და სახალხო გუნდია“.

სერ ალექსს კი, თუ გლაზგოური ხმები მართალია, შანსი ეძლევა ის გუნდი გაწვრთნას, რომელშიაც მისი ბავშვობის კერპები თამაშობდნენ, სადაც თვითონაც ითამაშა, ოღონდ „აიბროქსს“ კვალი ვერ დაამჩნია. მიუხედავად ძველი ტკივილისა, ფერგიუსონი ხომ გლაზგოელია და „რეინჯერობა“ სისხლში აქვს.

**ირაკლი გამყრელიძე**

# პორტსმუთმა მწვრთნელი შეცვალა

**მხოლოდ** ოთხი მოგება 21 მატჩში — ასეთია „პორტსმუთის“ მწვრთნელ ალენ პერენის პრემიერლიგური მონაგარი, რომელიც გუშინ მოხსნეს.

ფრანგს აპრილში ჩააბარეს გუნდი და ჩაქვეითებისგან იხსნა, მაგრამ ეს სეზონი ძალიან ცუდად დაიწყო. კლუბის პატრონი, სერბი მილიონერი მილან მანდარიჩი ჯერ კიდევ ორი თვის წინ ალაპარაკდა მწვრთნელის შეცვლაზე, მაგრამ ფრანგს შანსი მისცა, მაგრამ ალენ პერენმა გუნდი ვერ შეკრა და შანსი ვერ გამოიყენა. მანდარიჩსაც მოსწყინდა „პორტსმუთის“ გაუთავებელი წაგებები და ფრანგი გაათავისუფლა. მის ადგილს დროებით პერენის თანაშემწე ჯო ჯორდანი დაიკავებს.

„ეს არ იყო ადვილი — თქვა მანდარიჩმა — რადგან ალენ პერენი ნიჭიერი მწვრთნელია, რომელიც გულიანად მუშაობდა მას შემდეგ, რაც კლუბში მოვიდა. ყველანი მადლიერები ვართ იმისთვის, რაც მან გააკეთა, მაგრამ იძულებულები გავხდით, შეგვეცვალა“.

„პორტსმუთმა“ გასულ უქმეებზე სტუმრად „ლივერპულთან“ 0:3 წააგო, ხვალ კი „ჩელსის“ მასპინძლობს. ბრიტანული მედიის ვარაუდით, ჯო ჯორდანს მალე ნილ უორნოკი შეცვლის, რომელიც ამჟამად „შეფილდ იუნაიტედის“ მწვრთნელია.

**ვაჟა ხუციშვილი**



ალენ პერენი

# გასაოცარი ძალის კაცი ლონდონში კვდება





ექიმმა როჯერ უილიამსმა ჯორჯ ბესტზე ხელი ჩაიქნია

**ჯორჯ ბესტის** ჯანმრთელობაში უკეთესობა არ არის. ის კვლავ სიცოცხლის აპარატზეა შეერთებული. მისმა ექიმმა, როჯერ უილიამსმა თქვა, რომ უკეთესობის მოლოდინი ამაო გამოდგა. სამშაბათს ბესტი გონს მოვიდა, მაგრამ მალევე დაკარგა ეს მდგომარეობა ღამით.

„ის ძალიან ავადაა და ახლა საქმე უფრო რთულადაა, ვიდრე წინა კვირაში იყო — განუცხადა უილიამსმა კრომველის ჰოსპიტალის წინ შეკრებილ ჟურნალისტებს — ახლა ვცდილობთ ის ათი დღის წინანდელ მდგომარეობას დავუბრუნოთ“.

ექიმები გაოცებულნი არიან იმით, თუ როგორი უტეხი და სიცოცხლის მოყვარე ადამიანი ყოფილა ბესტი.

„ასეთ რამეს ვერავინ დაიკვეხნის. ამდენს ვერავინ გაუძლებს. შინაგანად ის გასაოცარი ძალის კაცი აღმოჩნდა“ — თქვა უილიამსმა.

**ირაკლი გამყრელიძე**



აბელ შავიერი

# თვრამეტი თვე აბელის სისხლიდან

**აბელ შავიერი** ფეხბურთიდან 18 თვით მოკვეთეს — „მიდლსბროს“ პორტუგალიელი ლეგიონერი 29 სექტემბერს, ბერძნულ პაოკ-თან უეფას თასის მატჩის შემდგომ შემოწმებაზე ამხილეს. მეორე ტესტმა დაადასტურა, რომ 32 წლის მოთამაშის სისხლი ანაბოლიკურ სტეროიდ დინაბოლს შეიცავდა. ეს წლეულს პირველი შემთხვევაა, როცა პრემიერლიგის ფეხბურთელი დოპინგზე „ჩავარდა“. მანამდე, გასული წლის ნოემბერში, „ჩელსის“ რუმინელი ადრიან მუტუ კოკაინის ყნოსვის გამო შვიდი თვით დასაჯეს.

აბელ შავიერი პირველი ტესტის მერე დოპინგის მიღებას უარობდა, მაგრამ ამაოდ. შეგახსენებთ, რომ ევრო 2000-ზე პორტუგალია — საფრანგეთის ნახევარფინალურ მატჩში, შავიერმა პენალტი „აიკიდა“. გვერდითმა მსაჯმა ხელით თამაში შეამჩნია, რის გამოც პორტუგალიელი ეჩხუბა და უეფამ ცხრათვიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერა. მოგვიანებით სასჯელი სამ თვემდე შეუმცირეს.

ამჯერად აბელ შავიერს სამი დღე აქვს საიმისოდ, რომ განაჩენი გაასაჩივროს. მის ვექილობას „მიდლსბროს“ თავმჯდომარე სტივ გიბსონი აპირებს. „ჩვენ გუნდში დოპინგი არავის არასოდეს გამოუყენებია — კლუბის პრესტიჟის დაცვა სცადა გიბსონმა — აქამდე ყველაფერი სუფთად იყო და ამით ვამაყობდით“.

აბელ შავიერი 1972 წელს მოზამბიკში დაიბადა. კარიერა 1990-ში „ამადორაში“ დაიწყო, სადაც მაშინ ჟოზე მაურინიუ მწვრთნელობდა. 1993-ში მისი სანაკრებო დებიუტი შვეიცარიასთან მატჩში შედგა. იმავე წელს „ბენფიკაში“ გადავიდა, შემდეგ „ბარიში“, რასაც მოჰყვა „ოვიედო“ და „პსვ ეინდჰოვენი“.

1999 წელს 2 მილიონ 820 ათას დოლარად „ევერტონმა“ შეიძინა, ხოლო 2000-ში ევროპის ჩემპიონატზე ითამაშა. დისკვალიფიკაციის შემდეგ „ლივერპულში“ გადავიდა, იქიდან „გალათასარაიში“ წასვლა სურდა, მაგრამ ტრანსფერი არ შედგა და ცოტა ხანს ბრაზილიურ „სან პაულუში“ ვარჯიშობდა.

2004 -ში „რომაში“ აღმოჩნდა, როგორც თავისუფალი აგენტი, მაგრამ კონტრაქტზე შეუთანხმებლობის გამო გუნდი დატოვა.

2005 წლის 31 აგვისტოს „მიდლსბროს“ მაისური მოირგო და ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, თუმც...

**ვაჟა ხუციშვილი**

რეკლამა
სარბიელ–ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ჯგუფური ეტაპი. V ტური

## E ჯგუფი



ფენერბაჰჩე — მილანი. ანდრეი შევჩენკომ თურქებს სისხლი გაუშრო

## აუფ ტაში კობიაშვილს
### მილანის ჯოკერის პოკერი

**შალკე 3:0 პსვ ეინდჰოვენი**
1:0, 2:0, 3:0 კობიაშვილი (18პ, 72, 79პ)
**შალკე:** როსტი, ალტინტოპი, ბორდონი, დ. როდრიგესი, კრსტაიჩი, კ პოულსენი, ერნსტი, ლინკოლნი, გ. ვარელა (ასამოა 73), კობიაშვილი (ბაირამოვიჩი 89), კურანი (სანდი 85)
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
**პსვ ეინდჰოვენი:** გომესი, რაიციგერი (სიბონი 77), ოიერი, ალექსი, ლამეი, აფელაი, კოკუ, სიმონსი (ლუსიუსი 46), აისატი (ვენეგოორ ოფ ჰესელინკი 46), ფარფანი, რობერტი
მწვრთნელი: გუს ჰიდინკი
გაფრთხილება: ბორდონი, ალტინტოპი
მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)
53 000 მაყურებელი

**ერთი**, ორი, სამი.... ლევან კობიაშვილმა მესამე გოლის შემდეგ გატანილები თითებზე ჩამოთვალა, მერე კი ჩემპიონთა ლიგაში პირველი „ქართული" ჰეთ თრიქის ავტორი რალფ რანგნიკმა 89-ე წუთზე შეცვალა იმისთვის, რომ „აუფ შალკეს" ტაშის კვრით ხელისგულები ასწვოდა.

„სუპერ-კობიმ", ასე მონათლა „ბილდმა", გელზენკირხენის „შალკეს" მერვედფინალში გასვლის შანსი შეუნარჩუნა. რალფ რანგნიკის გუნდისთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო ამ მატჩის მოგება, რადგან ბოლო ტურში „მილანს" სტუმრობენ. ბუნდესლიგაში „ბაიერნისგან" გვარიანად ჩამორჩენილ „ხუმარებს" ჩემპიონთა ლიგაში წინსვლა სჭირდებათ, თორემ მწვრთნელზე ისედაც აჯაგრული რუდი ასაუერი რანგნიკს წაფორხილებას — ალბათ აღარ აპატიებს.

პირველი პენალტი გუსტავო ვარელამ „გააკეთა", მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმოში აწვლიდა, ბურთი კი ანდრე ოიერს ხელზე მოხვდა. ფილიპ კოკუ ლუბოშ მიხელს პანტომიმის თეატრის მსახიობივით უხსნიდა, რომ ოიერს ხელით არ უთამაშია, მაგრამ სლოვაკი მსაჯი თავის ნასტვენს ხომ არ „ჩაყლაპავდა"? ლევან კობიაშვილმაც ცენტრში დაარტყა, გომესი კი მარჯვნივ გადახტა.

ამის შემდეგ პსვ ხუთი წუთით „აფეთქდა" და ფრანკ როსტს საქმე გაუჩინა, ხოლო როსტი მცველებს გაუბრაზდა.

მეორე ტაიმში „შალკე" მონაგარს უფრთხილდებოდა, ხოლო სტუმრებს შეტევაში სახეირო არაფერი გამოუვიდათ.

კევინ კურანის საკეთებელი, რომელიც კარში დარტყმის ნაცვლად რალაცეებს იგონებდა, მერე კი უშნოდ იკრიჭებოდა, ქართველმა გააკეთა — „სუპერ-კობიმ" საჯარიმოს წინა ხაზთან ლინკოლნს დაუგორა, ბრაზილიელმა თავზე გადაავლო ბურთი გომესს და ხარიხისგან უკუგდებულს კობიაშვილმა საგოლედ დაამატა. გომესი ბალახზე იყო გაშოტილი და კარში შევარდნილ ბურთს თვალიღა გააყოლა.

აქ გოლიდან ხუთ წუთში გუს ჰიდინკმა ჯერალდ სიბონი შეუშვა, რომელმაც უმალ პენალტი „აიკიდა". ნიშნულთან ქართველი მივიდა და ბრაზილიელ მეკარეს მესამედ გამოატანინა ბურთი კარიდან.

„სამი გოლი ერთ მატჩში აქამდე არასდროს გამიტანია — თქვა კობიაშვილმა — და, რაღა თქმა უნდა, ძალიან გახარებული ვარ. გუნდმა შესანიშნავად ითამაშა, ხოლო რაც შეეხება პენალტებს, მეტად თავდაჯერებული ვიყავი და ამიტომ ვიკისრე შესრულება".

**ფენერბაჰჩე 0:4 მილანი**
0:1, 0:2, 0:3, 0:4 შევჩენკო (16, 52, 70, 76)
**ფენერბაჰჩე:** ვოლქანი, სერქანი, სერვეთი, ონდერი, დენიზი, სელჩუკი (ქემალი 28), მეჰმეთი (ნობრე 57), უმით ოზატი, აპია, ანელკა, თუნჯაი
მწვრთნელი: კრისტოფ დაუმი
**მილანი:** დიდა, შიმიჩი, ნესტა, მალდინი, სერჟინიო, გატუზო (ფოგელი 80), პირლო, ზეედორფი, კაკა (რუი კოშტა 20), შევჩენკო, ჯილარდინო (ვიერი 75)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: მალდინი, დენიზი
მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)
45 000 მაყურებელი

**ანდრეი შევჩენკო** მეხუთე ფეხბურთელი შეიქნა ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში, რომელმაც ერთ მატჩში ოთხი გოლი გაიტანა. მანამდე მარკო ვან ბასტენმა, სიმონე ინძაგიმ, დადო პრსომ და რუუდ ვან ნისტელროოიმ შეასრულეს პოკერები.

შევჩენკომ შარშანაც დააღონა თურქები, ოღონდ სანაკრებო დონეზე, როცა სტამბოლში მასპინძლებს წყვილი გოლით დაამარცხორა თავი. ახლა უკრაინელი ფორვარდი ჩემპიონთა ლიგის ბომბარდირია.

„იოლი არაა, ერთ მატჩში ოთხის გატანა — თქვა შევჩენკომ — მთავარია, რომ სამი ქულა ავიღეთ და გუნდმა საუცხოო ფეხბურთი აჩვენა. პირველი ტაიმის დასაწყისში ცოტა გაგვიჭირდა. მერე კი ჩვენი საქმე ფრიადზე შევასრულეთ. მეხუთეს და მეექვსეს გატანაც მმართებდა, თუმც მეკარემ არ დამანება. პირველი გოლისას გამიჭირდა, რადგან ატალახებულში კარგად ვერ გავრბოდი, მაგრამ მეკარეს ფეხებშუა მაინც გავუძვრინე ბურთი. მე მეორე გოლი უფრო მომეწონა, როცა მცველები გავაბითურე და მარცხენა ფეხით დავარტყი".

„მილანის" ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი: „ვან ბასტენი ვან ბასტენია, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ამ ოთხმა გოლმა შევჩენკო ჰოლანდიელის გვერდით დასვა. უკრაინელი ფორვარდი ნაღდად ფენომენია, მან ევროსათებზე 53 გოლი მოაგროვა. მადლობა მინდა ვუთხრა დარიო შიმიჩს, გულიანად გაისარჯა და სწორედ ისეთი ფეხბურთელია, რომელიც „მილანში" თამაშს იმსახურებს."

კარლო ანჩელოტი: „ჩვენ გვჭირდებოდა მაქსიმალური მობილიზება და ყურადღება, რომ ასეთ ვითარებაში, თურქებით გადაჭედილი სტადიონის ხმაურში მოგვეგო. „მილანმა" ეს შეძლო. ბოლო კვირეებშიც არ გვითამაშია ურიგოდ, მხოლოდ „ფიორენტინასთან" დაგვიცდა ფეხი. შევჩენკო, დიდებული იყო, თუმც მისმა თანაგუნდელებმაც იშრომეს. განსაკუთრებით დარიო შიმიჩმა და მანუელ რუი კოშტამ გამოიცეს, რომლებიც ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდებიან".

ერთი სიტყვით, „მილანმა" იოლად მოუგო „ფენერბაჰჩეს", მაგრამ სიხარულში ერთი მწარე მარცვალი მაინც გაერია — პლეიმეიკერი კაკა მე-20 წუთზე დაშავდა: ბრაზილიელს ბარძაყის ტრავმა აქვს და ჯერ უცნობია, რამდენ ხანს მოუწევს მკურნალობა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 5 | 2 | 2 | 1 | 9:4 | 8 |
| შალკე | 5 | 2 | 2 | 1 | 10:6 | 8 |
| პსვ ეინდჰოვენი | 5 | 2 | 1 | 2 | 2:6 | 7 |
| ფენერბაჰჩე | 5 | 1 | 1 | 3 | 7:12 | 4 |

## F ჯგუფი

## ფრთხილად, თამაშის ბოლომდე ხუთი წუთია

**რეალი 1:1 ლიონი**
1:0 გუტი (40), 1:1 კარეუ (72)
**რეალი:** კასილიასი, დიოგო, ი ელგერა, პავონი, რობერტო კარლოსი, ბექჰემი (სალგადო 80), სერხიო რამოსი, პაბლო გარსია, ზიდანი (ჟულიო ბაპტისტა 76), გუტი, რობინიო
მწვრთნელი: ვანდერლეი ლუშემბურგო
**ლიონი:** კუპე, რეველიერი, კრისი, კასაპა, მონსორო (ფრედი 70), ტიაგუ, მ. დიარა, ჟუნინიო (ჟ. კლემანი 90), გოვუ (ვილტორდი 69), კარეუ, მალუდა
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
გაფრთხილება: ბექჰემი, კრისი, რეველიერი, გუტი, ტიაგუ, ჟუნინიო, კასაპა
მსაჯი: ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)
67 302 მაყურებელი

**„ლიონის"** მწვრთნელმა ჟერარ ულიემ განაცხადა, რომ მადრიდში, „რეალთან" თამაშის ბედის შემოტრიალება და გუტის გოლის გაქვითვა მის ფეხბურთელებს მხოლოდ საკუთარი ძალების რწმენამ შეაძლებინათ.

„პირდაპირ გეტყვით, სექტემბერში, როდესაც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპში ჩავებით, ვერ ვიფიქრებდი, თუ „სანტიაგო ბერნაბეუდან" დაუმარცხებლები დავბრუნდებოდით, მაგრამ საბედნიეროდ, ჩემი გუნდი ყოველ შეხვედრაში, როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით იზრდებოდა" — განაცხადა ფრანგთა მწვრთნელმა ჟერარ ულიემ, თუმცა დასძინა, რომ „ლიონს" გაუმართლა კიდეც, რადგან მადრიდელებს მათთან შეხვედრაში რაული და რონალდო არ ჰყავდათ.

მასპინძლები იმთავითვე დაწინაურდნენ, როდესაც დევიდ ბექჰემის ჩაწოდებულ ჯარიმას ხოსე მარია გუტიმ ახლოდან საგოლედ მიჰკრა, მაგრამ საფინალო სასტვენამდე 18 წუთით ადრე იონ კარეუმ მოქნილობა გამოიჩინა და „რეალს" აკრობატული გოლი გაუტანა.

**რუსენბორგი 1:1 ოლიმპიაკოსი**
0:1 რივალდო (25), 1:1 ჰელსტადი (88)
**რუსენბორგი:** ე. იონსენი, ბასმა, რისეტი, კვარმე, დორსინი, სტრანდი (ჰელსტადი 28), ბრაატენი (ოდეგაარდი 63), სოლი, სტორფლორი, სკიელბრედი (ვინსნესი 10), ფ. იონსენი
მწვრთნელი: პერ-მათიას ჰიოგმო
**ოლიმპიაკოსი:** ნიკოპოლიდისი, პანტოსი, ანატოლაკისი, შურერი, ბულუტი, კაფესი, გ. ტურე, სტოლტიდისი, ბაბანგიდა (ოკასი 71), რივალდო (მ. მარიჩი 86), დანი
მწვრთნელი: ტრონდ სოლიედი
გაფრთხილება: სტოლტიდისი, დანი, პანტოსი, პანტოსი
გაძევება: პანტოსი (85)
მსაჯი: პოლ ალერტი (ბელგია)
21 270 მაყურებელი

**ბერძნულმა** „ოლიმპიაკოსმა" ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში პირველი თამაში ვერ მოიგო, ხოლო ნორვეგიულმა „რუსენბორგმა" უეფას თასზე გადასვლის უფლება მოიპოვა. ეს ამბები ტრონდჰეიმში დატრიალდა, როდესაც დაწინაურებულ „ოლიმპიაკოსს" მასპინძელმა ტორსტენ ჰელსტადმა 88-ე წუთზე გაუთანაბრა ანგარიში. შეგახსენებთ, რომ ამ მეტოქეთა პირველი მატჩი ნორვეგიელების გამარჯვებით 3:1 დასრულდა.

ინიციატივა თავიდანვე ბერძნებმა იგდეს ხელთ, რაშიც დიდი როლი ბრაზილიის ნაკრების ყოფილმა ვარსკვლავმა და ფიფას 1999 წლის საუკეთესო ფეხბურთელმა რივალდომ ითამაშა. იგი გონივრულად აკონტროლებდა და ათამაშებდა ბურთს მოედნის შუაში, რითაც თანაგუნდელებს შეტევისთვის სივრცეებს უქმნიდა.

25-ე წუთზე რივალდომ მოედნის ცენტრსა და მოწინააღმდეგის კარს შორის იხელთა ბურთი, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და დაარტყა — ბურთი მასპინძელთა მეკარის, იესპენ იონსენის კარში შევარდა.

**F** ჯგუფში შექმნილი სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, სტუმრებს გამარჯვება სჭირდებოდათ და საამისოდ გვარიანადაც გაისარჯნენ, მაგრამ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, თამაშის მიწურულს ჰელსტადმა ანგარიში გაათანაბრა, თუმც მანამდე, სამი წუთით ადრე, მატჩის ერთ-ერთი ყველაზე დრამატული მომენტი დატრიალდა: ბერძენმა ანასტასიოს პანტოსმა თავის საჯარიმოში მეტოქე წააქცია და მეორე ყვითელი ბარათის გარდა, პენალტითაც დაისაჯა, მაგრამ პირეოსელთა სასიხარულოდ მეკარე ანტონის ნიკოპოლიდისმა ვიდარ რისეტის დარტყმული პენალტი მოიგერია. ამის შემდეგ კი, როგორც მოგახსენეთ, ნორვეგიელებმა ანგარიში გაქვითეს.

ცნობისთვის, მიმდინარე ჩემპიონთა ლიგაში ეს უკვე მესამე თამაში გახლდათ, როდესაც „ოლიმპიაკოსმა" ბოლო ხუთ წუთში გოლი გაუშვა.

**პაატა ქედია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 5 | 4 | 1 | 0 | 11:3 | 13 |
| რეალი | 5 | 3 | 1 | 1 | 9:6 | 10 |
| რუსენბორგი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:9 | 4 |
| ოლიმპიაკოსი | 5 | 0 | 1 | 4 | 5:12 | 1 |



რეალი — ლიონი. კარლოს დიოგო და სილვენ ვილტორდი

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ჯგუფური ეტაპი. V ტური

## G ჯგუფი

# რა გჭირს, პიტ?!



ლივერპული — ბეტისი. მასპინძლებმა ესპანელთა კარის აოხრება ამაოდ სცადეს

**ლივერპული 0:0 ბეტისი**

**ლივერპული:** რეინა, ფინანი, კარაგერი, ჰიიპია, რიისე, ჯერარდი (პოტერი 90), ჰამანი, სისოკო, ზენდენი, მორიენტესი (ჯ. სისე 67), კროუჩი (კოუელი 84)
**მწვრთნელი:** რაფაელ ბენიტესი
**ბეტისი:** დობლასი, მელი, ხუანიტო, დ. რივასი, ო. ლოპესი, ხოაკინი, მ. ასუნსაო (კაპი 70), რივერა, არზუ, ხისკო, ფერნანდო (ისრაელი 78)
**მწვრთნელი:** ლორენს სერა ფერერი
**გაფრთხილება:** ლოპესი, ჰამანი
**მსაჯი:** ერიკ პულა (საფრანგეთი)
42 077 მაყურებელი

**ლორენს სერა ფერერის** „ბეტისი“ ჩემპიონთა ლიგას დაემშვიდობა. მართალია, წინ „ანდერლეხტთან“ საბოლოო შეხვედრაა, მაგრამ სევილიელთათვის იმ მატჩის შედეგს მნიშვნელობა უკვე აღარ აქვს — ესპანელები უეფას თასზე გადაინაცვლებენ.

მატჩი მასპინძელთა შეტევებით დაიწყო, თუმცა 24-ე წუთამდე ლივერპულელებს ტონი დობლასის კართან სახიფათო მომენტები არ შეუქმნიათ. მერე კი პიტერ კროუჩი „აფეთქდა“ — ახმახმა ბრიტანელმა ზედიზედ ოთხჯერ გაატანა ქარს საგოლე შანსი. კროუჩის პირველი დარტყმა დობლასმა იოლად უკუაგდო. შემდეგ ფორვარდმა რივასი კარგად კი მოატყუა, მაგრამ დამაგვირგვინებელი გასროლა ვერ შეძლო. გადის ორიოდე წუთი და უკვე კუთხურიდან მოწოდებულს შეაგება ტანმაღალმა კროუჩმა მძლავრი თავური. ბოლოს კი ჯერარდის პასს ისევ თავი დაჰკრა, მაგრამ ბურთი ამჯერად ძელს შეაწყვიტა.

„ბეტისმა“ თავის მხრივ კონტრიერიშებს მიმართა. პირველი ტაიმის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე ხისკომ სახიფათოდ დაარტყა, თუმცა დამხვდურთა მეკარე ხოსე რეინა ადგილზე დახვდა. მცირე ხანში კი ტონი დობლასმა სტივენ ჯერარდის ყუმბარისებული გასროლილი მოიგერია.

შესვენების შემდეგ კვლავ „ლივერპული“ უტევდა. წესით, ფერნანდო მორიენტესს ანგარიში უნდა გაეხსნა, თუმცა რივასი „რეალის“ ექსფორვარდს გატანის საშუალებას არ აძლევს. 54-ე წუთზე ბეტისელმა არზუმ ორი მცველისგან კოხტად დაიძვრინა თავი, რეინას პირისპირაც შეეყარა, მაგრამ, სტუმართა საუბედუროდ, მსაჯმა თამაშგარე დააფიქსირა. საპასუხოდ ისევ პიტერ კროუჩმა შეუტია და ისევ უიღბლოდ — „წითლების“ აყლაყუდა თავდამსხმელს წლეულს გოლი ჯერაც არ გაუტანია.

„საერთო ჯამში ჩვენს ლიგაზე თამაშს ცუდი არ ეთქმის. მიუხედავად დებიუტანტობისა, ამ ტურნირზე ჩინებულად გავისარჯეთ“ — თქვა მატჩის მერე ლორენს სერა ფერერმა, „ბეტისის“ მწვრთნელმა.

მერვედფინალში დამსახურებულად გავედითო — მოკლედ მოუჭრა ჟურნალისტებს რაფაელ ბენიტესმა, „ლივერპულის“ თავკაცმა.

**ანდერლეხტი 0:2 ჩელსი**

0:1 კრესპო (8), 0:2 კარვალიუ (15)
**ანდერლეხტი:** პროტო, ჟველაკოვი, კომპანი, ტიჰინენი, დეშახტი, ვილჰელმსონი, ვანდენ ბორე, ვანდერეგე (იაჩუკი 46), გოორი, სერჰათი (ერე 74), მ. მპენზა (ზეტერბერგი 60)
**მწვრთნელი:** ფრანკ ვერკუტერენი
**ჩელსი:** პ. ჩეხი, გალასი, რ. კარვალიუ, ტერი, დელ ორნო, ჯ. კოული (ლ. დიარა 63), ლამპარდი, ესიენი, დაფი, კრესპო (კ. კოული 86), გუდიონსენი (ჯერემი 78)
**მწვრთნელი:** ჟოზე მაურინიუ
**გაფრთხილება:** ვანდენ ბორე, დელ ორნო, ტერი
**მსაჯი:** სტეფანო ფარინა (იტალია)
21 845 მაყურებელი

**ბელგიელებთან** შეხვედრამდე „ჩელსის“ საამსეზონო ჩემპიონთა ლიგაზე სტუმრად გოლი ვერ გაეტანა, „კონსტანტ ვანდენ სტოკის“ არენაზე კი ჟოზე მაურინიუს ბიჭებმა ნავსი გატეხეს.

უკვე მე-8 წუთზე არგენტინელმა ერნან კრესპომ ფრენკ ლამპარდის შესანიშნავი პასის მერე ტაბლოზე 0:1 აანთო. შვიდი წუთის შემდეგ კი პორტუგალიელმა რიკარდუ კარვალიუმ იმავე კრესპოს გადაცემას კარში მიუჩინა ადგილი. ამ გოლებამდე ბელგიელმა მბო მპენზამ გააცუდა ასპროცენტიანი საგოლე მომენტი და ნირწამხდარმა მასპინძლებმაც ჯიგრიანი თამაში ველარააწყვეს.

მეორე ტაიმში „ანდერლეხტი“ გააქტიურდა, თუმცა მასპინძლებმა პეტრ ჩეხის კარს მაინცდამაინც დიდი ხიფათი ვერ დაატეხეს. პირიქით, მცველთა დაბნეულობის გამო ბრიუსელელებმა კინაღამ მესამე გოლი გაუშვეს — სრულიად უწყინარ ვითარებაში ოლივიე დეშახტი შეცდა, ბურთის კუთხურზე მოგერიებას ლამობდა, თუმც ავტოგოლს კი გადარჩა.

„ჩელსიმ“ ამ მოგებით მერვედფინალის საგზური გაინაღდა, „ანდერლეხტი“ კი უეფას თასზეც ვერ მოხვდება — ძალიან სუსტი, უქულო აუტსაიდერია და იმიტომ.

**ლადო ხომერიკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლივერპული | 5 | 3 | 2 | 0 | 6:1 | 11 |
| ჩელსი | 5 | 3 | 1 | 1 | 7:1 | 10 |
| ბეტისი | 5 | 2 | 1 | 2 | 3:6 | 7 |
| ანდერლეხტი | 5 | 0 | 0 | 5 | 0:8 | 0 |

## H ჯგუფი

# უიტალიელებო ინტერი
## დებიუტანტები დრაგაუზე

**ინტერი 4:0 არტმედია**

1:0 ფიგუ (28), 2:0, 3:0, 4:0 ადრიანო (41, 59, 74)
**ინტერი:** ჟულიო სეზარი, ხ. ძანეტი, კორდობა (კ. ძანეტი 67), სამუელი, ვომე, ფიგუ (ბურდისო 46), კამბიასო, ვერონი (დ. სტანკოვიჩი 60), სოლარი, ადრიანო, რეკობა
**მწვრთნელი:** რობერტო მანჩინი
**არტმედია:** ჩობეი, პ. პეტრაში, დებნარი, დიურიცა, ურბანეკი (სტანო 78), ვაშჩაკი (მიკულიჩი 69), კოზაკი (ტჩური 69), ბორბელი, ფოდრეკი, ობზერა, ჰალენარი
**მწვრთნელი:** ვლადიმირ ვეისი
**გაფრთხილება:** პეტრაში
**მსაჯი:** მაიკ რაილი (ინგლისი)
უმაყურებლოდ



ინტერი — არტმედია. სლოვაკებს ადრიანომ თავბედი აწყევლინა

**„არტმედიისთვის“** სამწუხაროდ, ადრიანომ „ძველი დრო“ სწორედ სლოვაკებთან მატჩში გაიხსენა და მორიგი ჰეთ თრიქი გამოაცხო. ბრაზილიელმა მშვენივრად ითამაშა და გოლებიც კარგი გამოუვიდა. ასე მას კარგა ხანია, არ გაულაღია და ნავსის გატეხვით გახარებული იყო.

უშუალოდ მატჩზე ანგარიშის მიხედვით მსჯელობა მართებული არ იქნება, რადგანაც „არტმედია“ პირველ ტაიმში ცუდად არ გამოიყურებოდა და ერთი-ორი მომენტიც ჰქონდა. სლოვაკები მეორე ნახევარში გატყდნენ და ბრწყინვალედ მოთამაშე „ინტერთან“, კერძოდ კი, ადრიანოსთან, ვერაფერი გააწყვეს.

აღსანიშნავია, რომ მილანელები ცარიელი „სან სიროს“ მინდორზე უიტალიელებოდ გავიდნენ. შეტევაში კი ადრიანოს მეწყვილედ რობერტო მანჩინიმ ალვარო რეკობა გაამწესა. თავის მხრივ, სლოვაკებს აკლდათ წამყვანი ფორვარდი ლუკაშ ჰარტიგი, რომელსაც ხელის ტრავმა აქვს.

ანგარიში 28-ე წუთზე გაიხსნა — ხუან სებასტიან ვერონმა ლუიშ ფიგუ მეკარეს პირისპირ შეატოვა და პორტუგალიელმაც მარცხენა ფეხით ახლო კუთხეში გაუტანა ჩობეის.

ამ გამარჯვებით „ინტერმა“ ჯგუფში პირველი ადგილი გაინაღდა, ხოლო „არტმედიას“ კვლავ აქვს მერვედფინალში გასვლის შანსი.

„ძალიან კარგია, რომ მერვედფინალში გასვლა დღეს დავიბევეთ. ახლა რამდენიმე კვირა ზედმეტი ნერვიულობა აღარ მოგვიწევს და უფრო სერია A-ზე გადავერთვებით, თუმცა ჯგუფის ბოლო მატჩში „რეინჯერსთან“ მხოლოდ მოსაგებ-ლდ გავალთ. მოხარული ვართ, რომ ცარიელი ტრიბუნების წინ თამაში აღარ მოგვიწევს, უქომაგოდ ყოფნა, მართლაც, ძალიან ცუდია. რაც შეეხება უშუალოდ მატჩს, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ, განსაკუთრებით ადრიანოს გოლები მესიამოვნა. იგი ნელ-ნელა ფორმას იბრუნებს“.

„არტმედიას“ მწვრთნელმა ვლადიმირ ვეისმა კი განაცხადა: „ვულოცავ მილანელებს, „ინტერი“ ბრწყინვალე გუნდია. პირველ ტაიმში საკმაოდ კარგად გამოვიყურებოდით, მაგრამ არ გაგვიმართლა. ახლა მთავარია, შეცდომებზე ვისწავლოთ. ჯგუფიდან გასვლის შანსი კიდევ გვაქვს, „პორტუსთან“ ფრე კი უეფას თასის საგზურს გაგვინაღდებს. ეს არც ისე ცუდი შედეგია“.

**პორტუ 1:1 რეინჯერსი**

1:0 ლოპესი (60), 1:1 მაკკორმაკი (83)
**პორტუ:** ვიტორ ბაია, ბოსინგვა, პ. ემანუელი (უგო ალმეიდა 46), პეპე, პეიშოტო, ლ. გონსალესი, პ. ასუნსაო, დიეგო (ბ. ალვეში 64), ჟორჟინიო, ლ. ლოპესი, კვარესმა
**მწვრთნელი:** კო ადრიანსე
**რეინჯერსი:** ვატერეუსი, რიკსენი, ენდრიუსი, კრირიაკოსი, მიურეი, ნამუში, ა. რეი (ს. ტომპსონი 62), ჰემდანი, ბ. ფერგიუსონი, ლოვენკრანდსი (ბარკი 78), ჯეფერსი (მაკკორმაკი 76)
**მწვრთნელი:** ალექს მაკლიში
**გაფრთხილება:** ჰემდანი, მიურეი, კვარესმა, ფერგიუსონი
**მსაჯი:** ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)
39 439 მაყურებელი

**პორტუგალიელებს** არ გაუმართლათ, ისინი მთელი მატჩის მანძილზე საგრძნობ უპირატესობას ფლობდნენ და გამარჯვებასაც იმსახურებდნენ, მაგრამ 19 წლის როს მაკკორმაკმა მინდორზე შესვლიდან 7 წუთში ახლო მანძილიდან გაუტანა ვიტორ ბაიას და გლაზგოელებს ძალიან მნიშვნელოვანი ქულა მოუტანა.

„პორტუს“ ფეხბურთელებს კარგად ესმოდათ, რომ მოგება სჭირდებოდათ და თავიდანვე შეტევა დაიწყეს. „რეინჯერსი“ კი გამალებით იცავდა თავს, თანაც გლაზგოელთა ვეტერანი მეკარე რონალდ ვატერეუსი ძალიან კარგად თამაშობდა. მან რამდენჯერმე იხსნა „ჩაფრები“ აშკარა გოლისგან.

პირველ ტაიმში, საწყისი წუთებიდანვე „პორტუმ“ მეტოქეს ნამდვილი შტურმი მოუწყო. „რეინჯერსის“ კარში გოლი ისეთ ეპიზოდებში არ გავიდა, რომ თავად გლაზგოელებსა და მათ ფანებსაც გაუკვირდათ.

„დრაკონებმა“ საწადელს მე-60 წუთზე მიაღწიეს, როდესაც ლიზანდრო ლოპესმა ჟოზე ბოსინგვას ჩაწოდებულს თავი შეუშვირა და ბურთი მარცხენა ცხრიანში შეჭედა. აღსანიშნავია, რომ არგენტინელი ჩემპიონთა ლიგაში სადებიუტო მატჩს ატარებდა.

მასპინძლები ამის მერეც უტევდნენ და ვერც მაკკორმაკის გოლმა გატეხა ისინი. ბოლო წუთებში „პორტუს“ ორი კარგი შანსი ჰქონდა, მაგრამ იმავ ლიზანდრო ლოპესმა დუბლი ვერ გაიფორმა, ხოლო პაულუ ასუნსაოს ვატერეუსმა აუღო და „დრაგაუზე“ შეკრებილი ქომაგები ტყუილად წამოყარა ფეხზე.

„პორტუს“ თავკაცი კო ადრიანსე: „პირველ ტაიმში, მართლაც კარგად ვითამაშეთ და უამრავი მომენტი გვქონდა. „რეინჯერსი“ ძირითადად, თავს იცავდა და თავისი ერთი შანსიც გამოიყენა. ამდენი მომენტის განიავება არ შეიძლება, სწორედ ამიტომ ვართ ჯგუფში ბოლო ადგილზე, თუმც მერვედფინალში გასვლის იმედი არ დაგვიკარგავს და „არტმედიას“ აუცილებლად უნდა მოვუგოთ. მერე კი „ინტერზე“ ვიქნებით დამოკიდებული. იმედია, მილანელები გლაზგოში გულიანად ითამაშებენ. რობერტო მანჩინის ადგილზე მე ძირითად შემადგენლობას გავიყვანდი მოედანზე“.

**ქოქი ქანდელაკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 5 | 4 | 0 | 1 | 8:3 | 12 |
| რეინჯერსი | 5 | 1 | 3 | 1 | 6:6 | 6 |
| არტმედია | 5 | 1 | 2 | 2 | 5:9 | 5 |
| პორტუ | 5 | 1 | 1 | 3 | 3:8 | 4 |

## უეფას თასი 2005-2006
## ჯგუფური ეტაპი. III ტური

# ლოსკოვის ტროიკა
## ეშტრეკოვმა ასათიანი აქო

**B ჯგუფი**

**ლოკომოტივი 4:2 ბრონდბიუ**

0:1 რეტოვი (12), 0:2 სკოუბო (28), 1:2 ლოსკოვი (60), 2:2 ლებედენკო (63), 3:2, 4:2 ლოსკოვი (64, 84)

**ლოკომოტივი:** ოვჩინიკოვი, ევსეევი, პაშინინი, ასათიანი, სენიკოვი, გურენკო, ბიკეი, სამედოვი (რუოპოლო 32), ლოსკოვი, ბილიალეტდინოვი, ლებედენკო (ბუგაევი 90)

მწვრთნელი: ვლადიმირ ეშტრეკოვი

**ბრონდბიუ:** ანკერგრენი, თ. რიტერი, იოჰანსენი, ნილსენი, სენელსი, ლორენცენი (კრისტენსენი 74), ლანცი, დაუგაარდი, რეტოვი (კამპერი 46), რასმუსენი (აბსალონსენი 80), სკოუბო

მწვრთნელი: მიქაელ ლაუდრუპი

გაფრთხილება: ბიკეი

მსაჯი: ფრანც-ქსავიერ ვაკი (გერმანია)

30 000 მაყურებელი



დმიტრი ლოსკოვმა (მარცხნივ) დანიელები სამი გოლით გაისტუმრა

**დმიტრი ლოსკოვის** ჰეთ-თრიქით და იგორ ლებედენკოს ერთი გოლით „ლოკომოტივმა“ მიქაელ ლაუდრუპის „ბრონდბიუს“ მოუგო. ეს მასპინძლებისთვის სეზონში ბოლო საშინაო მატჩი იყო და, ცხადია, გამარჯვება სურდათ. მოსკოველებს უეფას თასზე ერთი შეხვედრაღა დარჩათ — სტუმრად ფეთაჰ თიკვას „მაკაბისთან“.

მოგეხსენებათ, „ლოკომოტივს“ რუსეთის ჩემპიონატში ხელი მოეცარა. გუნდი მესამე ადგილს დასჯერდა და ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრად ველარ იბრძოლებს. ამიტომ უეფას თასის მერვედფინალში გასვლა მთავარი საზრუნავია.

ვლადიმირ ეშტრეკოვს დმიტრი ხოხლოვი და მარატ იზმაილოვი აკლდა. იზმაილოვის ნაცვლად მარჯვენა ფლანგზე სამედოვი გაამწესა, თუმცა 32-ე წუთზე შეცვალა, რადგან მისი თამაშით უკმაყოფილო დარჩა. სამედოვის მაგივრად შესულმა ფრანჩესკო რუოპოლო კი უკეთესად გაისარჯა, მაგრამ დამხვდურებმა პირველი ტაიმი მაინც წააგეს. მარტინ რეტოვმა პაშინინის შეცდომით ისარგებლა და ანგარში გახსნა, მერე კი მორტენ სკოუბომ ჩაახვია ბურთი კარის ბადეში.

მეორე ტაიმში „ლოკომოტივმა“ ერთი თავით აჯობა მეტოქეს და ამას ლოსკოვს უნდა უმადლოდეს. მან სხვაობა შეამცირა, რასაც ლებედენკომ გამთანაბრებელი მიაყოლა და ალავერდს ისევ ლოსკოვთან გადავიდა. მოკლედ, ოთხ წუთში მოსკოველებმა სამი გოლი გაიტანეს. ამის შემდეგ „ბრონდბიუ“ გონს ველარ მოვიდა. ლოსკოვმა ბოლოს მეოთხეც შეაგდო და სხვაობა ორამდე გაზარდა.

ნამატჩევს ვლადიმირ ეშტრეკოვმა განაცხადა: „შესვენებაზე ფეხბურთელებს ვუთხარი, რომ 45 წუთი გვაქვს ვითარების გამოსასწორებლად. ეს ხომ სეზონში ბოლო საშინაო მატჩი იყო. მალხაზ ასათიანი ნახევარდაცვაში გავამწესე, რადგან იქ უფრო სასარგებლოა და მანაც გაამართლა“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ბუფონი ბრუნდება
## დელ პიერო ბონიპერტის გვერდით



ჯანლუიჯი ბუფონი

**ტურინის** „იუვენტუსის“ მეკარე ჯანლუიჯი ბუფონი მინდორზე დასაბრუნებლად ემზადება. როგორც იცით, ზაფხულში „ბერლუსკონის თასზე“ მილანელ კაკასთან შეჯახებისას მიღებული ტრავმის გამო მას მთელი მიმდინარე სეზონი გაუცდა. მსოფლიოს უძვირესმა მეკარემ ვარჯიში უკვე დაიწყო და თამაშს მე-14 ტურში, „ფიორენტინასთან“ ან შვიდი დღის მერე „კალიარისთან“ შეძლებს.

ჯიჯი ბუფონი: „მინდორს მალე დავუბრუნდები, ალბათ 2-3 მატჩის მერე. მინდა, კრისტიან აბიატი შევაქო და მადლობა გადავუხადო ყველაფრისთვის, რაც ამ პერიოდში გუნდისთვის გააკეთა. იმედია, იგი დარჩენას ჩემი დაბრუნების მერეც შეძლებს, თუმცა უნდა ითქვას, რომ ასეთი მეკარე რეგულარულად თამაშს იმსახურებს“.

რაც შეეხება აბიატის, რომელიც „მილანმა“ „იუვენტუსს“ „დანაშაულის“ გამოსასყიდად ათხოვა, შეიძლება, იანვარშივე სხვა კლუბში ვიხილოთ — გამოცდილი გოლკიპერით „პალერმო“ ყოფილა დაინტერესებული.

ამასობაში, „იუვენტუსის“ კაპიტანი ალესანდრო დელ პიერო ჩემპიონთა ლიგაში „ბრიუგეს“ კარში გატანილი ერთადერთი გოლით ლეგენდარულ ჯამპიერო ბონიპერტის გაუტოლდა. ეს „პინტურიჩოს“ 179-ე ბურთი იყო „იუვეს“ მაისურით. ახლა მას ერთი გოლი აშორებს კლუბის ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირობამდე.

„დადგე იმ ადამიანის გვერდით, რომელიც „იუვენტუსის“ ისტორიაა, ჩემთვის უდიდესი პატივია და ძალიან მეამაყება“ — აღნიშნა დელ პიერომ.

**ბოჭი ჭანდელაკი**


# იყიდება

| 11014 | მიდლსბრო-ვესტ ბრომვიჩი | 2.45 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11015 | ვესტ ჰემი-მანჩესტერი | 7.00 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.50 |
| 11099 | შალკე-ვერდერი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.50 |
| 11100 | ბაიერნი-მაინცი | 1.40 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 12.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11102 | ჰანოვერი-კაიზერსლაუტერნი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11103 | დუისბურგი-კიოლნი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11104 | ვოლფსბურგი-არმინია | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11105 | ლევერკუზენი-ჰამბურგი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11106 | ნიურნბერგი-დორტმუნდი | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11107 | ჰერტა-მიონხენგლადბახი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11108 | აინტრახტი-შტუტგარტი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11164 | ლივორნო-კიევო | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11165 | მილანი-ლეჩე | 1.40 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11167 | სიენა-რეჯინა | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11168 | კალიარი-სამპდორია | 4.50 | 10.00 | 20.00 | 5.30 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11172 | პარმა-უდინეზე | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11173 | მესინა-ინტერი | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.60 |
| 11175 | ასკოლი-პალერმო | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11176 | ემპოლი-ლაციო | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11177 | რომა-ფიორენტინა | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11210 | ბეტისი-კადისი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11211 | დეპორტივო-ვილიარეალი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11212 | ვალენსია-სელტა | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11213 | ატლეტიკო-ესპანიოლი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11214 | ოსასუნა-ალავესი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11216 | მალიორკა-ბილბაო | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11217 | ხეტაფე-მალაგა | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11220 | სარაგოსა-სევილია | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11221 | სოსიედადი-რეალი | 5.50 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.20 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 12003 | სიტი-ლივერპული | 1.70 | 1.90 |
| 12004 | უიგანი-ტოტენჰემი | 1.60 | 2.00 |
| 12005 | ასტონ ვილა-ჩარლტონი | 1.70 | 1.90 |
| 12006 | სანდერლენდი-ბირმინგემი | 1.60 | 2.00 |
| 12007 | არსენალი-ბლექბერნი | 1.90 | 1.70 |
| 12009 | პორტსმუთი-ჩელსი | 1.70 | 1.90 |
| 12011 | ევერტონი-ნიუკასლი | 1.70 | 1.90 |
| 12012 | ფულემი-ბოლტონი | 1.70 | 1.90 |
| 12014 | მიდლსბრო-ვესტ ბრომვიჩი | 1.70 | 1.90 |
| 12015 | ვესტ ჰემი-მანჩესტერი | 1.70 | 1.90 |
| 12099 | შალკე-ვერდერი | 2.00 | 1.60 |
| 12100 | ბაიერნი-მაინცი | 2.30 | 1.45 |
| 12102 | ჰანოვერი-კაისერსლაუტერნი | 1.90 | 1.70 |
| 12103 | დუისბურგი-კიოლნი | 1.90 | 1.70 |
| 12104 | ვოლფსბურგი-არმინია | 1.90 | 1.70 |
| 12105 | ლევერკუზენი-ჰამბურგი | 2.00 | 1.60 |
| 12106 | ნიურნბერგი-დორტმუნდი | 1.90 | 1.70 |
| 12107 | ჰერტა-მიონხენგლადბახი | 1.90 | 1.70 |
| 12108 | აინტრახტი-შტუტგარტი | 1.90 | 1.70 |
| 12164 | ლივორნო-კიევო | 1.70 | 1.90 |
| 12165 | მილანი-ლეჩე | 2.00 | 1.60 |
| 12167 | სიენა-რეჯინა | 1.70 | 1.90 |
| 12168 | კალიარი-სამპდორია | 1.70 | 1.90 |
| 12170 | იუვენტუსი-ტრევისო | 2.00 | 1.60 |
| 12172 | პარმა-უდინეზე | 1.60 | 2.00 |
| 12173 | მესინა-ინტერი | 1.90 | 1.70 |
| 12175 | ასკოლი-პალერმო | 1.70 | 1.90 |
| 12176 | ემპოლი-ლაციო | 1.70 | 1.90 |
| 12177 | რომა-ფიორენტინა | 1.90 | 1.70 |
| 12210 | ბეტისი-კადისი | 1.60 | 2.00 |
| 12211 | დეპორტივო-ვილიარეალი | 1.60 | 2.00 |
| 12212 | ვალენსია-სელტა | 1.70 | 1.90 |
| 12213 | ატლეტიკო-ესპანიოლი | 1.70 | 1.90 |
| 12214 | ოსასუნა-ალავესი | 1.70 | 1.90 |
| 12216 | მალიორკა-ბილბაო | 1.70 | 1.90 |
| 12217 | ხეტაფე-მალაგა | 1.60 | 2.00 |
| 12218 | ბარსელონა-რასინგი | 2.20 | 1.55 |
| 12220 | სარაგოსა-სევილია | 1.60 | 2.00 |
| 12221 | სოსიედადი-რეალი | 1.90 | 1.70 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13003 | სიტი-ლივერპული | 1.70 | 1.90 |
| 13004 | უიგანი-ტოტენჰემი | 1.70 | 1.90 |
| 13005 | ასტონ ვილა-ჩარლტონი | 1.70 | 1.90 |
| 13006 | სანდერლენდი-ბირმინგემი | 1.70 | 1.90 |
| 13007 | არსენალი-ბლექბერნი | 1.90 | 1.70 |
| 13009 | პორტსმუთი-ჩელსი | 1.70 | 1.90 |
| 13011 | ევერტონი-ნიუკასლი | 1.70 | 1.90 |
| 13012 | ფულემი-ბოლტონი | 1.70 | 1.90 |
| 13014 | მიდლსბრო-ვესტ ბრომვიჩი | 1.70 | 1.90 |
| 13015 | ვესტ ჰემი-მანჩესტერი | 1.70 | 1.90 |
| 13099 | შალკე-ვერდერი | 1.55 | 2.20 |
| 13100 | ბაიერნი-მაინცი | 1.90 | 1.70 |
| 13102 | ჰანოვერი-კაისერსლაუტერნი | 1.70 | 1.90 |
| 13103 | დუისბურგი-კიოლნი | 1.60 | 2.00 |
| 13104 | ვოლფსბურგი-არმინია | 1.70 | 1.90 |
| 13105 | ლევერკუზენი-ჰამბურგი | 1.60 | 2.00 |
| 13106 | ნიურნბერგი-დორტმუნდი | 1.55 | 2.20 |
| 13107 | ჰერტა-მიონხენგლადბახი | 1.70 | 1.90 |
| 13108 | აინტრახტი-შტუტგარტი | 1.55 | 2.20 |
| 13164 | ლივორნო-კიევო | 1.70 | 1.90 |
| 13165 | მილანი-ლეჩე | 1.90 | 1.70 |
| 13167 | სიენა-რეჯინა | 1.70 | 1.90 |
| 13168 | კალიარი-სამპდორია | 1.70 | 1.90 |
| 13170 | იუვენტუსი-ტრევისო | 2.00 | 1.60 |
| 13172 | პარმა-უდინეზე | 1.70 | 1.90 |
| 13173 | მესინა-ინტერი | 1.70 | 1.90 |
| 13175 | ასკოლი-პალერმო | 1.70 | 1.90 |
| 13176 | ემპოლი-ლაციო | 1.70 | 1.90 |
| 13177 | რომა-ფიორენტინა | 1.60 | 2.00 |
| 13210 | ბეტისი-კადისი | 1.70 | 1.90 |
| 13211 | დეპორტივო-ვილიარეალი | 1.70 | 1.90 |
| 13212 | ვალენსია-სელტა | 1.70 | 1.90 |
| 13213 | ატლეტიკო-ესპანიოლი | 1.70 | 1.90 |
| 13214 | ოსასუნა-ალავესი | 1.70 | 1.90 |
| 13216 | მალიორკა-ბილბაო | 1.70 | 1.90 |
| 13217 | ხეტაფე-მალაგა | 1.70 | 1.90 |
| 13218 | ბარსელონა-რასინგი | 2.00 | 1.60 |
| 13220 | სარაგოსა-სევილია | 1.70 | 1.90 |
| 13221 | სოსიედადი-რეალი | 1.70 | 1.90 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი დაბრუნდება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14003 | სიტი-ლივერპული | 1.95 | 1.85 |
| 14004 | უიგანი-ტოტენჰემი | 1.85 | 1.95 |
| 14005 | ასტონ ვილა-ჩარლტონი | 1.80 | 2.00 |
| 14006 | სანდერლენდი-ბირმინგემი | 1.85 | 1.95 |
| 14007 | არსენალი-ბლექბერნი | 1.20 | 2.60 |
| 14009 | პორტსმუთი-ჩელსი | 2.60 | 1.15 |
| 14011 | ევერტონი-ნიუკასლი | 1.85 | 1.95 |
| 14012 | ფულემი-ბოლტონი | 1.85 | 1.95 |
| 14014 | მიდლსბრო-ვესტ ბრომვიჩი | 1.45 | 2.40 |
| 14015 | ვესტ ჰემი-მანჩესტერი | 2.30 | 1.60 |
| 14099 | შალკე-ვერდერი | 1.80 | 2.00 |
| 14100 | ბაიერნი-მაინცი | 1.06 | 2.90 |
| 14102 | ჰანოვერი-კაისერსლაუტერნი | 1.55 | 2.30 |
| 14103 | დუისბურგი-კიოლნი | 1.75 | 2.00 |
| 14104 | ვოლფსბურგი-არმინია | 1.40 | 2.40 |
| 14105 | ლევერკუზენი-ჰამბურგი | 1.80 | 1.90 |
| 14106 | ნიურნბერგი-დორტმუნდი | 1.95 | 1.85 |
| 14107 | ჰერტა-მიონხენგლადბახი | 1.40 | 2.40 |
| 14108 | აინტრახტი-შტუტგარტი | 1.85 | 1.95 |
| 14164 | ლივორნო-კიევო | 1.80 | 2.00 |
| 14167 | სიენა-რეჯინა | 1.60 | 2.30 |
| 14168 | კალიარი-სამპდორია | 2.00 | 1.80 |
| 14172 | პარმა-უდინეზე | 1.90 | 1.90 |
| 14173 | მესინა-ინტერი | 2.40 | 1.40 |
| 14175 | ასკოლი-პალერმო | 1.95 | 1.85 |
| 14176 | ემპოლი-ლაციო | 1.80 | 2.00 |
| 14177 | რომა-ფიორენტინა | 1.85 | 1.95 |
| 14210 | ბეტისი-კადისი | 1.60 | 2.10 |
| 14211 | დეპორტივო-ვილიარეალი | 1.80 | 2.00 |
| 14212 | ვალენსია-სელტა | 1.45 | 2.40 |
| 14213 | ატლეტიკო-ესპანიოლი | 1.55 | 2.30 |
| 14214 | ოსასუნა-ალავესი | 1.40 | 2.40 |
| 14216 | მალიორკა-ბილბაო | 1.70 | 2.20 |
| 14217 | ხეტაფე-მალაგა | 1.65 | 2.30 |
| 14220 | სარაგოსა-სევილია | 1.80 | 1.95 |
| 14221 | სოსიედადი-რეალი | 2.30 | 1.60 |

## . რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15003 | სიტი-ლივერპული | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15004 | უიგანი-ტოტენჰემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15005 | ასტონ ვილა-ჩარლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15006 | სანდერლენდი-ბირმინგემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15007 | არსენალი-ბლექბერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15009 | პორტსმუთი-ჩელსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15011 | ევერტონი-ნიუკასლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15012 | ფულემი-ბოლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15014 | მიდლსბრო-ვესტ ბრომვიჩი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15015 | ვესტ ჰემი-მანჩესტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15099 | შალკე-ვერდერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15100 | ბაიერნი-მაინცი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15102 | ჰანოვერი-კაისერსლაუტერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15103 | დუისბურგი-კიოლნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15104 | ვოლფსბურგი-არმინია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15105 | ლევერკუზენი-ჰამბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15106 | ნიურნბერგი-დორტმუნდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15107 | ჰერტა-მიონხენგლადბახი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15108 | აინტრახტი-შტუტგარტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15164 | ლივორნო-კიევო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15165 | მილანი-ლეჩე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15167 | სიენა-რეჯინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15168 | კალიარი-სამპდორია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15170 | იუვენტუსი-ტრევისო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15172 | პარმა-უდინეზე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15173 | მესინა-ინტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15175 | ასკოლი-პალერმო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15176 | ემპოლი-ლაციო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15177 | რომა-ფიორენტინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15210 | ბეტისი-კადისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15211 | დეპორტივო-ვილიარეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15212 | ვალენსია-სელტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15213 | ატლეტიკო-ესპანიოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15214 | ოსასუნა-ალავესი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15216 | მალიორკა-ბილბაო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15217 | ხეტაფე-მალაგა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15218 | ბარსელონა-რასინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15220 | სარაგოსა-სევილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15221 | სოსიედადი-რეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16003 | სიტი-ლივერპული | 1.80 | 1.70 |
| 16004 | უიგანი-ტოტენჰემი | 1.70 | 1.80 |
| 16005 | ასტონ ვილა-ჩარლტონი | 1.60 | 2.00 |
| 16006 | სანდერლენდი-ბირმინგემი | 1.70 | 1.80 |
| 16007 | არსენალი-ბლექბერნი | 1.07 | 5.00 |
| 16009 | პორტსმუთი-ჩელსი | 5.00 | 1.07 |
| 16011 | ევერტონი-ნიუკასლი | 1.70 | 1.80 |
| 16012 | ფულემი-ბოლტონი | 1.70 | 1.80 |
| 16014 | მიდლსბრო-ვესტ ბრომვიჩი | 1.30 | 3.00 |
| 16015 | ვესტ ჰემი-მანჩესტერი | 2.80 | 1.30 |
| 16099 | შალკე-ვერდერი | 1.55 | 2.00 |
| 16100 | ბაიერნი-მაინცი | 1.03 | 6.50 |
| 16102 | ჰანოვერი-კაისერსლაუტერნი | 1.35 | 2.55 |
| 16103 | დუისბურგი-კიოლნი | 1.55 | 2.05 |
| 16104 | ვოლფსბურგი-არმინია | 1.30 | 2.80 |
| 16105 | ლევერკუზენი-ჰამბურგი | 1.60 | 1.90 |
| 16106 | ნიურნბერგი-დორტმუნდი | 1.90 | 1.60 |
| 16107 | ჰერტა-მიონხენგლადბახი | 1.30 | 2.80 |
| 16108 | აინტრახტი-შტუტგარტი | 1.65 | 1.85 |
| 16164 | ლივორნო-კიევო | 1.50 | 2.20 |
| 16167 | სიენა-რეჯინა | 1.40 | 2.40 |
| 16168 | კალიარი-სამპდორია | 2.00 | 1.55 |
| 16172 | პარმა-უდინეზე | 1.80 | 1.70 |
| 16173 | მესინა-ინტერი | 2.70 | 1.35 |
| 16175 | ასკოლი-პალერმო | 1.90 | 1.60 |
| 16176 | ემპოლი-ლაციო | 1.55 | 2.10 |
| 16177 | რომა-ფიორენტინა | 1.60 | 1.90 |
| 16210 | ბეტისი-კადისი | 1.35 | 2.70 |
| 16211 | დეპორტივო-ვილიარეალი | 1.50 | 2.20 |
| 16212 | ვალენსია-სელტა | 1.30 | 2.80 |
| 16213 | ატლეტიკო-ესპანიოლი | 1.30 | 2.80 |
| 16214 | ოსასუნა-ალავესი | 1.25 | 3.40 |
| 16216 | მალიორკა-ბილბაო | 1.50 | 2.20 |
| 16217 | ხეტაფე-მალაგა | 1.50 | 2.20 |
| 16220 | სარაგოსა-სევილია | 1.60 | 1.90 |
| 16221 | სოსიედადი-რეალი | 2.20 | 1.50 |

## გოლი: წყვილი-1 თუ კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17003 | სიტი-ლივერპული | 1.85 | 1.95 |
| 17004 | უიგანი-ტოტენჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17005 | ასტონ ვილა-ჩარლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17006 | სანდერლენდი-ბირმინგემი | 1.85 | 1.95 |
| 17007 | არსენალი-ბლექბერნი | 1.85 | 1.95 |
| 17009 | პორტსმუთი-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 17011 | ევერტონი-ნიუკასლი | 1.85 | 1.95 |
| 17012 | ფულემი-ბოლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17014 | მიდლსბრო-ვესტ ბრომვიჩი | 1.85 | 1.95 |
| 17015 | ვესტ ჰემი-მანჩესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17099 | შალკე-ვერდერი | 1.85 | 1.95 |
| 17100 | ბაიერნი-მაინცი | 1.85 | 1.95 |
| 17102 | ჰანოვერი-კაისერსლაუტერნი | 1.85 | 1.95 |
| 17103 | დუისბურგი-კიოლნი | 1.85 | 1.95 |
| 17104 | ვოლფსბურგი-არმინია | 1.85 | 1.95 |
| 17105 | ლევერკუზენი-ჰამბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17106 | ნიურნბერგი-დორტმუნდი | 1.85 | 1.95 |
| 17107 | ჰერტა-მიონხენგლადბახი | 1.85 | 1.95 |
| 17108 | აინტრახტი-შტუტგარტი | 1.85 | 1.95 |
| 17164 | ლივორნო-კიევო | 1.85 | 1.95 |
| 17165 | მილანი-ლეჩე | 1.85 | 1.95 |
| 17167 | სიენა-რეჯინა | 1.85 | 1.95 |
| 17168 | კალიარი-სამპდორია | 1.85 | 1.95 |
| 17170 | იუვენტუსი-ტრევისო | 1.85 | 1.95 |
| 17172 | პარმა-უდინეზე | 1.85 | 1.95 |
| 17173 | მესინა-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 17175 | ასკოლი-პალერმო | 1.85 | 1.95 |
| 17176 | ემპოლი-ლაციო | 1.85 | 1.95 |
| 17177 | რომა-ფიორენტინა | 1.85 | 1.95 |
| 17210 | ბეტისი-კადისი | 1.85 | 1.95 |
| 17211 | დეპორტივო-ვილიარეალი | 1.85 | 1.95 |
| 17212 | ვალენსია-სელტა | 1.85 | 1.95 |
| 17213 | ატლეტიკო-ესპანიოლი | 1.85 | 1.95 |
| 17214 | ოსასუნა-ალავესი | 1.85 | 1.95 |
| 17216 | მალიორკა-ბილბაო | 1.85 | 1.95 |
| 17217 | ხეტაფე-მალაგა | 1.85 | 1.95 |
| 17218 | ბარსელონა-რასინგი | 1.85 | 1.95 |
| 17220 | სარაგოსა-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 17221 | სოსიედადი-რეალი | 1.85 | 1.95 |

22 ნოემბერი

**ვაშინგტონი 105:108 დენვერი**
ვაშინგტონი: არენასი (36 ქულა, 10 პასი), ჯემისონი (26 ქულა, 12 მოხსნა)
დენვერი: ენტონი (28 ქულა, 11 მოხსნა), კემბი (24 ქულა, 14 მოხსნა, 6 დაფარება), ბოიკინსი (20)

**კლივლენდი 115:93 ბოსტონი**
კლივლენდი: ჯეიმსი (36), ჰიუზი (25), ილგაუსკასი (19), გუდენი (13 ქულა, 15 მოხსნა)
ბოსტონი: დევისი (27), პირსი (24 ქულა, 15 მოხსნა), ბლუნტი (21)

**მემფისი 87:95 პორტლენდი**
მემფისი: ბეტიე (21), მილერი (20), გასოლი (18 ქულა, 16 მოხსნა)
პორტლენდი: მაილზი (22), რენდოლფი (20 ქულა, 13 მოხსნა), დიქსონი (20)

**დალასი 102:93 ჰიუსტონი**
დალასი: ნოვიცკი (31), ტერი (29), ჰოვარდი (15 ქულა, 11 მოხსნა)
ჰიუსტონი: ჰედი (28), მინი (20), ანდერსონი (19)

**ფინიქსი 90:82 ტორონტო**
ფინიქსი: მარიონი (28 ქულა, 18 მოხსნა), ნეში (23 ქულა, 9 პასი, 6 მოხსნა), ჰაუსი (14)
ტორონტო: ბოში (23), ჯეიმსი (13)

**სიეტლი 87:93 იუტა**
სიეტლი: ლუისი (26), ალენი (23)
იუტა: ოქური (24), გირიჩეკი (17), ბრაუნი (14)

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

# შავდღეგადატანილის ზეობა

**არც** შაკილ ონილი და არც იაო მინგი — ერთი რომ თავის ზორბა და არცთუ ახალგაზრდა სხეულის ტრავმიან ადგილებს სწამლობს, ხოლო მეორე არანაკლებ ზორბა სხეულს თავისი გუნდისთვის უშედეგოდ დაარბენინებს ერთი სამწამიანიდან მეორეში („ჰიუსტონი“ ხომ ერთავად აგებს), ამასობაში ასოციაციის საუკეთესო ცენტრის სტატუსს სულ სხვა აზმაზი დაეპატრონა.

9-წლიან და ტრავმებით „მოოჭვილ“ კარიერაში მარკუს კემბის არასდროს ჰქონია ასეთი შედეგიანი და უპრობლემო პერიოდი. მრავალ შავდღეგადატანილს და სამ ათეულ წლამდე ასე წვალებ-წვალებით თუ სვენებ-სვენებით მოსულს ახლა — როგორღაც ასე მოხდა — ფრჩხილიც კი არ აწუხებს. სამაგიეროდ, ის თავად აწუხებს მეტოქეთა მაღლებს, პირდაპირ სისხლს უშრობს და მისი „დენვერ ნაგიტსი“ ჩრდილო-დასავლეთის დივიზიონში ლიდერად ამიტომაც აღზევდა.

გუშინწინ გამთენიისას კემბიმ მორიგი, მე-9 ორმაგი დუბლი შეასრულა, 24 ქულა და 14 მოხსნა გააზერხა და ზედაც 6 დაფარება დაურთო. „დენვერმაც“ მიჯრით მეოთხე შეხვედრა მოიგო, თანაც მისსავე დარბაზში დასცა ყოჩალი აღმოსავლელი „ვაშინგტონი“. ეს ჩვენი მარკუსი ყველგან იყო და ყველაფერს ასწრებდა, ორივე ფარქვეშ მეტოქეებს სული ამოხადა და ესეც არ იკმარა, ვაშინგტონელებს საშუალო დისტანციებიდანაც დაუწყო დაბომბვა, ასეთ ტყორცნებში კი ამერიკელი ცენტრები ნაღდად არ არიან დიდად გაწაფულები. მერე დაცვაში თამაშს აღარ იკითხავთ?! საკუთარ კალათს კრუხივით გადაფარებოდა და ისე უფარებდა მომხვდურებს, ბურთები აქეთ-იქით ტრიბუნებზე ცვიოდა.

ნამატჩევს, როცა ჟურნალისტებმა საუკეთესოთა შორის მოიხსენიეს და კომენტარის გაკეთება სთხოვეს, კემბიმ შორს დაიჭირა, კი, ბატონებო, კარგი სტატისტიკა მაქვს, მაგრამ ამაზე საუბარი არასდროს მიყვარდაო.

„მე მოედანზე თამაშის მოსაგებად გავდივარ და არა რიცხვებისთვის. ეს გუნდური თამაშია და მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ჩვენ კარგი გუნდი ვართ. ჩემი თანაგუნდელები დიდ სამუშაოს ასრულებენ და იოლად მპოულობენ ჩემთვის ხელსაყრელ პოზიციებზე. მე რომ მარტო გავიდე მოედანზე, ვერაფერსაც ვერ გავაკეთებ“.


AFP ვაშინგტონიდან
მარკუს კემბი „ვაშინგტონის“ კალათს დაეცა

თავად არ აქცევს ყურადღებას, მაგრამ ჩვენ მივაქციეთ — საამმომენტოდ მოლეულ 11 შეხვედრაში კემბის საშუალო მონაგარი 16,4 ქულასა და 14,3 მოხსნას შეადგენს და ეს ორივე მაჩვენებელი საუკეთესოა მის კარიერაში. მასზე უკეთესი სტატისტიკებით დღეს ბევრი ცენტრი ვერ დაიკვეხნის. ქულებით მხოლოდ თურქი მეჰმეთ ოქური და ჩინელი იაო მინგი სჯობიან, მოხსნებში კი ულაპარაკოდ ლიდერობს სრულიად ნბა-ს, ხოლო მისი 3,36 დაფარება მხოლოდ ბებერი ზო მურნინგის 3,60-ს ჩამოუვარდება.

თავში იაო მინგი ვახსენეთ და ბარემ ვთქვათ, მისმა „ჰიუსტონმა“ — ვიღას უკვირს და — ისევ წააგო, თან მიყოლებით მეოთხედ და ახლა „მშვიდად განისვენებს“ დივიზიონის ცხრილის ფსკერზე თვით ოკლაჰომში გადახიზნული უხეირო „ნიუ ორლეან ჰორნეთსის“ და სხვა უფრო [illegible]!

ისე, ჰიუსტ[illegible] თავის მართლების მიზეზი — მათი ლიდერი ტრეისი მაკგრეიდი წელის ტრავმის გამო ხან ახერხებს თამაშს, ხან ვერა და ჰიუსტონელებმაც უმისოდ მეტოქის გატეხვა ჯერ ვერ ისწავლეს. ტეხასურ დერბიში „დალასთან“ მინმა 20 ქულა კი გაშანსა, ახალბედა გამთამაშებელმა ლუთერ ჰედმა კი თითქმის გაწია მაკგრეიდის მაგივრობა და 28 ქულას მოუყარა თავი, მაგრამ დირკ ნოვიცკის გუნდის წასაქცევად ეს არ აღმოჩნდა საკმარისი. „დალასმა“ ზედიზედ მეექვსედ იმარჯვა და ერთი მოგების „მანძილზე“ წამოეწია დასავლეთ კონფერენციის ლიდერ „სან ანტონიოს“.

იმარჯვა მეჰმეთ ოქურის „იუტა ჯაზმა“, მიუხედავად იმისა, რომ ეს გუნდი ყველაზე მეტად აზარალა ტრავმიანობამ. მძლავრი თავდამსხმელი კარლოს ბუზერი ისეა დალეწილი, ამ სეზონში წამითაც ვერ მიეხმარა „ჯაზმენებს“, ხოლო „სიეტლთან“ მატჩში მათ ანდრეი კირილენკო და მეტ ჰარპრინგიც არ ჰყავდათ. ამის მიუხედავად, მათ უკვე პირველ ტაიმში ჩააჩუმეს 20 ათასი სიეტლელი.

აღარ იცნობა „კლივლენდ კავალიერზი“. შარშან უპლეიოფოდ დარჩენილი გუნდი წლეულს აღმოსავლეთის ერთ-ერთ ყოჩად ქცეულა და აგერ, მიყოლებით მე-8 შეხვედრიც გააქცია. ჯეელმა ლებრონ ჯეიმსმა 36 ქულა გაიღო თავისი გუნდის საკეთილდღეოდ, მაგრამ საქმე ისაა, რომ „კავალერია“ მხოლოდ ჯებრონის იმედადაც აღარაა — აგერ, 25 ქულას გამოდის ახალწვეული ლარი ჰიუზი.

**კოტე ყორშია**

23 ნოემბერი

**ატლანტა 120:117 ბოსტონი**
ატლანტა: ლუ (8), ჯონსონი (13), სმიტი (9), ჰარინგტონი (34), ფაჩულია (41 წუთი, 19 ქულა, 13 მოხსნა, 4 პასი, 2 ჩაჭრა); სტუდემაიერი (19), ჩილდრესი (10), უილიამსი (6), ედვარდსი (2)
ბოსტონი: გრინი (9), დევისი (25), პირსი (33), ლაფრენცი (18), ბლუნტი (6); დიკაუ (14), ჯეფერსონი (6), რიდი (4), პერკინსი (2), გომესი, სკალაბრინი

**ნიუ ორლეანი 84:80 მინესოტა**
ნიუ ორლეანი: ვესტი (22 ქულა, 13 მოხსნა), პოლი (21 ქულა, 9 მოხსნა, 8 პასი)
მინესოტა: გარნეტი (24 ქულა, 11 მოხსნა), ჰადსონი (17)
*ცქიტიშვილი სათადარიგო იყო*

**დეტროიტი 114:89 დენვერი**
დეტროიტი: ჰამილტონი (19), ბილაფსი (16 ქულა, 11 პასი), ევანსი (16), ბ. ვოლესი (13 ქულა, 13 მოხსნა, 5 დაფარება)
დენვერი: კემბი (15 ქულა, 10 მოხსნა), ენტონი (12)

**ორლანდო 91:83 ვაშინგტონი**
ორლანდო: თურქოღლუ (23), ნელსონი (15), სტივენსონი (15)
ვაშინგტონი: ჯემისონი (25 ქულა, 16 მოხსნა), არენასი (19)

**შარლოტი 108:95 ნიუ იორკი**
შარლოტი: ვოლესი (24), რაში (22), ოკაფორი (19 ქულა, 11 მოხსნა)
ნიუ იორკი: მარბერი (21)

**მაიამი 100:79 პორტლენდი**
მაიამი: ვეიდი (19 ქულა, 11 მოხსნა), უილიამსი (16)
პორტლენდი: მაილზი (19), რენდოლფი (16)

**ჰიუსტონი 88:100 ფინიქსი**
ჰიუსტონი: ანდერსონი (23), ჰედი (15 ქულა, 10 მოხსნა)
ფინიქსი: მარიონი (19 ქულა, 12 მოხსნა), ჯონსი (19), დიავი (17 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი), ნეში (15 ქულა, 14 მოხსნა)

**მილუოკი 108:97 ფილადელფია**
მილუოკი: რედი (32 ქულა, 9 მოხსნა, 7 პასი), სმიტი (18 ქულა, 13 მოხსნა)
ფილადელფია: აივერსონი (45)

**საკრამენტო 114:105 ნიუ ჯერსი**
საკრამენტო: ბიბი (25), ველსი (23), მილერი (20 ქულა, 10 პასი 7 მოხსნა), მარტინი (18)
ნიუ ჯერსი: ჯეკსონი (21), კრსტიჩი (19), ჯეფერსონი (16)

**კლიპერსი 103:100 ტორონტო**
კლიპერსი: მეჯიტი (30), კასელი (26), ბრენდი (21 ქულა, 13 მოხსნა, 6 დაფარება)
ტორონტო: ბოში (24), ვილანუევა (19), ჯეიმსი (16)

**გოლდენ სტეიტი 89:113 სან ანტონიო**
გოლდენ სტეიტი: მერფი (27)
სან ანტონიო: პარკერი (26), დანკანი (19 ქულა, 12 მოხსნა), ჯინობილი (14)

# მაიკ ვუდსონი: ფაჩულია ჩვენი გოლიათი მხსნელია

## ზაზა ფაჩულიამ პირველი მოიგო


ზაზა ფაჩულია ამ დღეს საუკეთესო იყო

**ამ** ჩვენს საწყალ „ატლანტასაც“ ეღირსა გამარჯვება. რეგულარული ჩემპიონატის ზედიზედ 9 მარცხით დაწყების შემდეგ „ქორებმაც“ დააჭაშნიკეს მოგება — უხვქულიან შინაურ ჯახში „ბოსტონ სელტიქსი“ დაამარცხეს და ასოციაციის ერთადერთი გაუხარელი გუნდის არასასიამოვნო სტატუსიც მოიშორეს.

სხვათა შორის, 56 წელიწადია, „ჰოქსი“ ნბა-შია და ასე უხეიროდ არასდროს დაუწყია სეზონი.

„ატლანტას“ შარშანდელმა პირველმექულე ალ ჰარინგტონმა „ბოსტონს“ 34 ქულა უმარჯვა, რაც ამ სეზონში სარეკორდოდ ბევრია არა მარტო მისთვის, არამედ მთელი მისი გუნდისთვის, მაგრამ, მოდით, „სელტიქსის“ თავკაც დოკ რივერს მოვუსმინოთ:

„ვფიქრობ, ზაზა ფაჩულიამ მარტომ გადაამუშავა მთელი ჩვენი გუნდი. დღეს ის საუკეთესო იყო მოედანზე“.

რივერსი საკმაოდ კარგად უნდა იცნობდეს ქართველ ცენტრს — 2003 წელს სწორედ ის წვრთნიდა „ორლანდო მეჯიქს“, როცა ფაჩულიამ ამ გუნდში და საერთოდ ნბა-ში შეაბიჯა.

გუშინ გამთენიისას ზაზამ 19 ქულა მოაგროვა „ბოსტონთან“ შეხვედრაში და ზედ ორივე გუნდისთვის უბევრესი 13 მოხსნაც მიაყოლა, რითაც 10 ატლანტურ შეხვედრაში მეექვსე ორმაგი დუბლი შეასრულა.

„ჰოქსის“ მწვრთნელი მაიკ ვუდსონი ამბობს, ზაზა ფაჩულია ჩვენი გოლიათი მხსნელია, ეგ რომ არა, ფარქვეშეთში ყველა ბავშვებივით წაგვლეკავდაო.

მოკლედ, ზაზამ ლომის წილი დაიდო თავისი გუნდის პირველ გამარჯვებაში.

ახლა „ქორები“ „ინდიანასთან“ შესახვედრად ემზადებიან და რაკი სისხლის გემო გაიგეს, ამ გუნდის ძლევასაც იქადნი.

აი, რას ამბობს ახალგაზრდა ფორვარდი, თმაგაჩეჩილი ჯოშ ჩილდრესი:

„შარშან ისე გვიჭირდა მოგებები, რომ მზად ვიყავი, ზედიზედ მეორე გამარჯვების შემთხვევაში თმაც კი გადამეპარსა. ახლა ამის თქმას ნაღდად ვერ გავრისკავ, რადგან ჩვენ ზედიზედ ორი კი არა, გაცილებით მეტი მატჩის მოგება შეგვიძლია“.

ვუდსონიც ეთანხმება:

„ჩვენ ნამდვილად არა ვართ უსაშველო გუნდი. ყველა შეხვედრას ბრძოლაში ვაგებთ, ესე იგი, თამაში შეგვიძლია. ჯერ ვერ ვისწავლეთ, როგორ უნდა მოვიგოთ. ვფიქრობ, დროთა განმავლობაში ამასაც ვისწავლით და საკუთარ ძალებსაც ვირწმუნებთ“.

**კოტე ყორშია**



ვერის ბაღში ლამაზი ჭიდაობაა



ბაჩო კოპალიანის ფოტოები

ზაზა კედელაშვილმა ოქროს მედლითაც გაიხარა და პრემიითაც

# ვერის ბაღში, თბილ ტატამზე

**გუშინ** თბილისში ვერის ბაღში მდებარე კეკელიძის სახელობის საკალათბურთო დარბაზში საქართველოს ძიუდოისტთა პირველობა დაიწყო.

ამ ჩემპიონატმა პრაქტიკულად ყველა ჩვენს უძლიერეს ძიუდოისტს მოუყარა თავი. გამონაკლისი მხოლოდ ოლიმპიური ჩემპიონი ზურაბ ზვიადაური და ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი დავით ქევხიშვილი არიან, რომლებიც ტრავმისა და ავადმყოფობის გამო ვერ გამოდიან:

საერთო შეფასებით, ეს ჩემპიონატი ორგანიზაციული თვალსაზრისით ბოლო წლებში გამართულ ყველა წინამორბედს სჯობს. მხოლოდ ის რად ღირს, რომ ასპარეზობა თბილ დარბაზში ტარდება. ამასთან, ორივე ტატამს, რომელზეც პირველობა მიმდინარეობს, ბრძოლებს თითო კამერა იღებს და თუ მონაწილეებს მსაჯთა მიმართ პრეტენზიები ექნებათ, ვიდეოჩანაწერის დახმარებით განიხილავენ და შესაბამის ვერდიქტსაც გამოიტანენ.

თავად ორთაბრძოლები საკმაოდ დაძაბულად და საინტერესოდ მიმდინარეობს. ჩემპიონატი 73 კგ წონით კატეგორიის ძიუდოსტებმა გახსნეს და პირველი ჩემპიონიც მათგან გამოვლინდა. აქ ფინალამდე დამაჯერებლად მისულმა თბილისელებმა ზაზა კედელაშვილმა და დავით მარგოშვილმა ერთმანეთს არაფერი დაუთმეს. საბოლოოდ ბრძოლის ბედი ერთმა ილეთმა გადაწყვიტა. კედელაშვილმა ბრწყინვალე სტილით ვაზარი აიღო და ჩემპიონიც გახდა. მას მედალთან და დიპლომთან ერთად ჯილდოდ 500 ლარიც გადასცეს.

ამ წონაში ბრინჯაოს პრიზიორები თბილისელები დავით კობერიძე და მარნეულელი დავით კუპრაშვილი არიან.

შემდეგ სარბიელზე 60 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ძიუდოისტები გავიდნენ. აქ ყველაზე დაძაბული გამოდგა ფინალში გადასასვლელი ორთაბრძოლები. საბოლოოდ წარმატებას თბილისელებმა ვახტანგ ხოსიტაშვილმა და დავით ასუნბანმა მიაღწიეს. მათი ფინალი ბოლო წამებამდე ასუნბანის უპირატესობით მიმდინარეობდა, თუმცა ბოლოს ხოსიტაშვილმა მოახერხა მობილიზება და წმინდა გამარჯვება მოიპოვა, ბრინჯაოს მედლები კი ლაშა სანადრიშვილმა და ბეთქილ შუკვანმა (ორივე თბილისი) მოიპოვეს.

**ლექსო მაისურაძე**



## რეგულარული ჩემპიონატი

# ხულიგანი და ბაქია პოლიციელი

22 ნოემბერი

**პიტსბურგი 5:4 ვაშინგტონი**

*4:0 1:2 0:2*

1:0 პალფი (6), 2:0 ჯეკმენი (0), 3:0 კროსბი (12), 4:09 პირიეტა (15), 4:1 კლარკი (26), 4:2 ლეიკი (26), 5:2 პალფი (34), 5:3 პეტინგერი (45), 5:4 უილსი (47)

**სიდნი** კროსბი და ალექსანდრ ოვეჩკინის პირველი დაპირისპირება საკმაოდ შთამბეჭდავი გამოდგა და ყველა დარწმუნდა, რომ გრეცკისა და ლემიეს საიმედო ცვლა ეზრდებათ. ორივემ უზადო ოსტატობა და უამრავი ტექნიკური ილეთი აჩვენა, საბოლოოდ კი, პირველ რაუნდში გამარჯვება წილად კროსბის ხვდა, რომელმაც გოლი და პასი მიითვალა, მაშინ, როცა ოვეჩკინი ერთადერთი პასით შემოიფარგლა, თანაც თამაში „პიტსბურგმა" მოიგო. გოლიც და პასიც ხომ კროსბის ერთიმეორეზე უკეთესი გამოუვიდა. ჯერ იყო და 18 წლის ვუნდერკინდმა ერთბაშად ორი მცველი ჩამოიცილა, შემდეგ კი მეკარესაც იოლად გაუმკლავდა. პასი უფრო ლამაზი გამოუვიდა — მეტოქის ზონაში 360 გრადუსით შეტრიალდა, მაშინვე ზიგმუნდ პალფის მიაწოდა, თანაც ისე, რომ იმ მომენტში პარტნიორთან ზურგით იმყოფებოდა.

„ნამდვილად მარიოს მაგონებს, ზოგჯერ ისეთ რაღაცას აკეთებს, მეტოქე საერთოდ ვერ ხვდება" - აღნიშნა მატჩის შემდეგ პალფიმ.

რაც შეეხება ოვეჩკინს, მანაც რამდენჯერმე ისეთი ფენომენალური სისწრაფე აჩვენა, რომ კაცი იფიქრებდა, მცველები გაჩერდნენო. ერთი-ორი შაიბის გატანაც შეეძლო, მაგრამ არ გაუმართლა.

„ორჯერ ხელებიც კი ავწიე სიხარულისგან, მაგრამ შაიბამ კარში შესრიალება არ ისურვა. ცხადია, გაწბილებული ვარ" - ასეთი იყო ოვეჩკინის კომენტარი.





დეტროიტელები კიდევ ერთ გატანილ შაიბას ზეიმობენ

**ვანკუვერი 3:1 ჩიკაგო**

*0:1 2:0 1:0*

0:1 ბელი (20), ნესლუნდი (25), 2:1 კესლერი (26), 3:1 შ. სედინი (57

**ფილადელფია 2:4 ტამპა**

*1:1 0:2 1:1*

0:1 ციბაკი (5), 1:1 უმბერგერი (13), 1:2 რიჩარდსი (36), ბოილი (38), 1:4 ტეილორი (47), 2:4 სიმი (54)

**ბუფალო 2:3 რეინჯერსი**

*0:0 1:1 1:1 0:0 0:1*

*ბულიტების სერიაში*

1:0 დრური (29), იაგრი (33), 2:1 მაკი (52), 2:2 ნიულანდერი (56), 2:3

*გადამწყვეტი ბულიტი: იაგრი*

**ფინიქსი 1:2 ანაჰაიმი**

*1:2 0:0 0:0*

0:1 რაიტი (5), 0:2 სელიანე (7), 1:2 სენდერსონი (20)

**ნამატჩევს** ყურადღების ცენტრში ანაჰაიმელი პოლიციელი ტოდ ფედორუკი აღმოჩნდა, რომელმაც მესამე პერიოდში მეტოქე პეტრ ნედვედს მთელი ძალით უთავაზა იდაყვი. ამის გამო ჩეხმა ტვინის შერყევა მიიღო და იგი მოედნიდან გასაყვანი შეიქნა, ამ ეპიზოდს კი შეხლა-შემოხლა მოჰყვა. მატჩის შემდეგ ფედორუკმა, იმის მაგივრად, რომ მოებოდიშებინა, მეტოქეები დაადანაშაულა.

„ზოგიერთმა, სახელს არ დავასახელებ, სახის დამცავი მინა გაიკეთა და თავში აუვარდა, მაგრამ ეგრე სადაა, მე მათ არაფერს ვაპატიებ და თუ ჩემს თანაკლუბელს ვინმე დააშავებს, საკადრის პასუხს მიიღებს" — თქვა ფედორუკმა მატჩის შემდეგ. თუმც ლიგამ ეს აინუნშიც არ ჩააგდო და მეორე დღესვე ტოდს სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა.

**სენტ ლუისი 3:6 ლოს ანჯელესი**

*1:1 2:2 0:3*

0:1 კორვო (4), 1:1 მაკამონდი (13), 1:2 კორვო (32), 1:3 ბელანჟე (35), 2:3 მაკამონდი (36), 3:3 რაიკროფტი (39), 3:4 კამალერი (41), 3:5 რენიკი (59), 3:6 ფროლოვი (60)

**კაროლინა 3:5 ოტავა**

*2:2 0:1 1:2*

0:1 ფიშერი (4), 0:2 შუბერტი (9), 1:2 სტაალი (10), 2:2 ადამსი (14), 2:3 რედენი (26), 3:3 სტილმანი (42), 3:4 სპეცა (45), 3:5 შეფერი (60)

23 ნოემბერი

**ტორონტო 1:5 ბოსტონი**

*0:2 0:2 1:1*

0:1 მიურეი (4), 0:2 მიურეი (9), 0:3 ბერჟერონი (25), 0:4 მაკიკრენი (27), 1:4 ტაკერი (43), 1:5 სამსონოვი (52)

**აი,** რას ნიშნავს, როცა ბოსი გაგიბრაზდება. როგორც კი „ბოსტონის" მფლობელმა ჯერემი ჯეკობსმა პრესაში გააკრიტიკა გუნდი და ჰოკეისტები გულგრილობაში დაადანაშაულა. „დათვებმა" ხელად გააუმჯობესეს თამაში და „ტორონტო" გაიტანეს.

„ყველამ გავიგეთ ინტერვიუს შესახებ და მაშინვე შემოგვცხა" — თქვა ნამატჩევს მეკარე ენდრიუ რეიკროფტმა.

**დეტროიტი 7:3 კოლორადო**

*1:1 3:1 3:1*

0:1 ბრიუნეტი (2), 1:1 სამუელსონი (3), 2:1 ლანგი (26), 2:2 ლაპერიე (33), 3:2 კლირი (35), 4:2 შენაჰანი (39), 4:3 ლაილსი (48), 5:3 უილიამსი (56), 6:3 სამუელსონი (57), 7:3 ფრანცენი (60)

**ირში** ფიშერის მდგომარეობის გაუმჯობესება და საავადმყოფოდან გამოწერა „დეტროიტმა" ოდესღაც მთავარი მოწინააღმდეგე „კოლორადოს" განადგურებით აღნიშნა.

**კოლუმბუსი 2:4 ნეშვილი**

*0:1 1:2 1:1*

0:1 სტივენსონი (16), ჟერდევი (21), 1:2 ჰამჰიუსი (24), 1:3 ლეგვანდი (25), 2:3 მალოტრა (52), 2:4 ჰარტნელი (59)

**ფლორიდა 1:5 ნიუ ჯერსი**

*0:3 1:2 0:0*

0:1 უაიტი (17), 0:2 მარშალი (18), 0:3 ჯიონტა (19), 0:4 მოგილნი (23), 0:5 გომესი (25), 1:5 პილი (40)

**აილენდერსი 3:4 ბუფალო**

*1:1 2:1 0:1 0:0 0:1*

*ბულიტების სერიაში*

1:0 იორკი (16), 1:1 დრური (18), 2:1 სოპელი (24), 3:1 ბლეიკი (25), ჰეხტი (26), 3:3 კოტალიკი (58), 3:4

*გადამწყვეტი ბულიტი: კოტალიკი*

**ვაშინგტონი 3:4 ტამპა**

*1:0 2:2 0:1 0:0 0:1*

*ბულიტების სერიაში*

1:0 კესელსი (14), 2:0 პეტინგერი (21), 3:0 საზერბი (21), 3:1 ბოილი (24), 3:2 დიმაიო (33), 3:3 ბოილი (46), 3:4

*გადამწყვეტი ბულიტი: პროსპალი*

**კალგარი 3:2 სან ხოსე**

*0:0 1:0 2:2*

1:0 პამრლიკი (32), 1:1 სტივენსონი (42), 2:1 რეჟე (52), 3:1 ამონტე (57), 3:2 პრაისინგი (60)

**მინესოტა 3:4 ედმონტონი**

*2:2 0:1 1:1*

0:1 ტორესი (3), 1:1 გაბორიკი (7), 2:1 დიუპუი (10), 2:2 ჰემსკი (12), 2:3 სტოლი (30), 3:3 დიუპუი (46), 3:4 მორო (60)

**დალასი 3:1 ანაჰაიმი**

*0:1 1:0 2:0*

0:1 სელიანე (16, 1:1 მოროუ (27), 2:1 არნოტი (48), 3:1 არნოტი (57)

**სამველ ლარიბიანი**

# საქართველოს XVI ჩემპიონატი

მესამე წრე. ასკ-ს დარბაზი



ირაკლი კეკელიძის ბიჭები ისევ ყველაზე წინ არიან

# ჩემპიონს უჭირს, თუმც მაინც იგებს

**სტუ-შევარდენი 24:20 ხ/კ თბილისი**

სტუ-შევარდენი: კუპატაძე, წივწივაძე (გაიტანა 13 გოლი), გიორგი კობახიძე (5), ნადირაძე (3), ნიკოლაიშვილი (2), ჯიშკარიანი (1), ამირან ყიფიანი, ომარ ყიფიანი, სვიმონიშვილი
ხ/კ თბილისი: სეთურიძე, გონჩაროვი, სამარლანიშვილი (6), ნატროშვილი (5), ქირია (3), გიორგელაშვილი (2), ლალანიძე (2), გრიშიკაშვილი (2), გელა არაბული, მამასახლისი, ჟღენტი
*მსაჯები:* ელენე არაბული, ინა ჭკუასელი

**ქარიშხალა 34:22 სსსსუ-მამული**

ქარიშხალა: სამყურაშვილი, გიორგი ტორონჯაძე, მელქოშვილი (8), მახვილიძე (7), ბერძენიშვილი (4), ლეჟავა (3), ირაკლი ჩიქოვანი (3), ზაალიშვილი (2), საჯაია (2), ჯორბენაძე (2), სიგუა (1), გოგალაძე (1), ამირანაშვილი (1)
სსსსუ-მამული: ხონელიძე, რობაქიძე, გობეჯიშვილი (6), მამაცაშვილი (4), სიხარულიძე (4), მაისურაძე (4), კიზირია (2), ყაველაშვილი (2), გელოვანი, გიორგი არაბული, ხუციშვილი
*მსაჯები:* ელენე არაბული, ნინო ელოშვილი

**საქართველოს** უცვლელმა ჩემპიონმა „სტუ-შევარდენმა" ახალი სეზონი დიდი დანაკლისით დაიწყო. გუნდი დატოვა ხუთმა წამყვანმა ხელბურთელმა, რომლებიც კარიერას საბერძნეთის, თურქეთისა და უკრაინის კლუბებში აგრძელებენ.

მოგვიანებით, აზერბაიჯანში საერთაშორისო ტურნირზე გამოსვლისას, მძიმე ტრავმები მიიღეს მეკარე კორნელი ანდრიაძემ და ცაცია „ფრთა" ბაკურ ცოტაძემ.

თითქოს ყოველივე ეს საკმარისი არ ყოფილიყოს, მესამე წრის პირველივე თამაშში ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის სპეციალიზირებული ცენტრის „ქარიშხალასთან" მატჩში დაშავდნენ აკაკი ტალახაძე და ომარ ყიფიანი. ერთი სიტყვით, ჩემპიონები რვა მოთამაშის ამარა დარჩნენ და პრაქტიკულად შეუცვლელი შემადგენლობით მოუხდათ კონკურენტებთან შებრძოლება.

ბუნებრივია, სულაც არ გვინდა დავაკნინოთ ქარიშხლელთა ისტორიული გამარჯვება ჩემპიონებზე, მაგრამ იქნებ ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ მესამე წრის წინ მეტოქეებმა ორი საკონტროლო შეხვედრა გამართეს და ორივე ტექნიკოსებმა დამაჯერებლად მოიგეს. ამდენად, მოედანზე ზედმეტად თავდაჯერებულები გავიდნენ და სამართლიანად დაისაჯნენ კიდეც.

მეორე დღეს შევარდნელებს საქართველოს სახელმწიფო სასოფლო სამეურნეო უნივერსიტეტის „მამულთანაც" ისე გაუჭირდათ მოგება, რომ დასკვნით მატჩში „თბილისთან" ლამის ყველამ წინასწარ გამარჯვება ვიცე-ჩემპიონებს უწინასწარმეტყველა.

მაგრამ როგორც სჩვევია, „სტუ-შევარდენი" უპრინციპულეს მატჩს სამაგალითოდ მობილიზებული შეხვდა. მხრის ტკივილის მიუხედავად, ომარ ყიფიანი მაინც გავიდა საბრძოლველად და თავისი წვლილიც შეიტანა საერთო წარმატებაში.

თავიდან თანაბარი ბრძოლა მიდიოდა, უამრავი ორმხრივი შეცდომებით და ანგარიშიც ნელა იზრდებოდა, რაშიც, ჩინებულად მოთამაშე მეკარეების — მიხეილ კუპატაძისა და ვაგა სეთურიძის დამსახურებაც იყო.

შუა ტაიმში ანგარიში თანაბარი იყო, — 6:6, თბილისელები შვიდი წუთით უგოლოდ „გაიყინნენ" — 6:9, თუმცა მალე გამოასწორეს ვითარება — 10:10.

მაგრამ ტაიმი მაინც „შევარდენმა" მოიგო — 12:10.

შესვენების შემდეგ ჩემპიონთა უპირატესობა აშკარა გახდა — „დაიქოქა" ტურნირის მთავარმევოლე გიორგი წივწივაძე, მას თანაგუნდელებმაც აუბეს მხარი და შორიგი დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს.

სამწუხაროდ, მატჩის დასრულების შემდეგ ატყდა გაწევ-გამოწევა, რაც, საბედნიეროდ, ხელჩართულ ჩხუბში არ გადაზრდილა და მალე ჩაწყნარდა.

მეორე თამაშში „ქარიშხალამ" უპრობლემოდ სძლია „მამულს" და მყარად დგას მეორე პოზიციაზე. ჩემპიონატის დაწყებამდე ცერცვაძის სახელობის ცენტრელთა მთავარმა მწვრთნელმა ბექა ორჯონიკიძემ განაცხადა, სამეულში მოსახვედრად ვიბრძოლებთ, ოღონდ არა მესამე ადგილისთვისო. მაშინ ეს შეიძლება ახალგაზრდა მწვრთნელის ამბიციურ ნათქვამად ჩაუთვალეს, მაგრამ სატურნირო ვითარებამ ცხადად გამოაჩინა, რომ ორჯონიკიძისა და გიორგი გოცირიძის ბიჭები ისეთ დონეზე არიან მომზადებულნი, რომ ვერცხლის მედალოსნობა მათთვის სავსებით რეალური ვარიანტია და თვით 15-გზის ჩემპიონთა ძლევაც სენსაციად არ ჩაითვლება.

და „მამული"...

საწყენია, რომ წინა ეროვნული ჩემპიონატის მესამე პრიზიორი ამჯერად სუსტად ასპარეზობს. ამას, ბუნებრივია, ობიექტური ახსნაც აქვს. გუნდი ცხრა(!) მოთამაშემ დატოვა და რა გასაკვირია, რომ საპრიზო ადგილისთვის ველარ იბრძვის. მაგრამ მაინც, მწვრთნელ რევაზ ჭანტურიას და მის ღლევანდელ მამულელებს ოპტიმიზმი არ აკლიათ. ბატონი რევაზი უკვე მომავალი წლიდან განახლებულ-გაახალგაზრდავებული კლუბის აშენებას აპირებს, რასაც, იმედია, ჩვეული წარმატებით შეძლებს.

აქვე სასიამოვნო ამბავი ჭანტურიას გუნდის უსიამოვნო სატურნირო ვითარებასთან: ბატონ რევაზის შვილი, 21 წლის რეზო წარმატებით თამაშობს მაკედონიის ათგუნდა ჩემპიონატში. უმცროს ჭანტურიას სკოპიეს „მეტალურგი" პირველი წრის შემდეგ ლიდერობს ეროვნულ პირველობას. ბოლო მატჩში მეტალურგებმა „მლადოსტს" სძლიეს — 24:20 და სამი გოლი რეზო ჭანტურიამ გაიტანა.

**გია ახალაძე**

**ვითარება სამი წრის შემდეგ**

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ-შევარდენი | 8 | 0 | 1 | 266:201 | 16 |
| ქარიშხალა | 5 | 0 | 4 | 208:209 | 10 |
| ხ/კ თბილისი | 4 | 0 | 5 | 236:198 | 8 |
| სსსსუ-მამული | 1 | 0 | 8 | 192:294 | 2 |



# უეფას თასი

## ჯგუფური ეტაპი. III ტური. წუხელ

### A ჯგუფი

**ვიკინგი (ნორვეგია) 2:2 სლავია (ჩეხეთი)**
1:0 ნლეკო (26), 1:1 ვლჩეკი (52), 2:1 გაარდე (55), 2:2 პიტაკი (83)

**მონაკო (საფრანგეთი) 2:0 ჰამბურგი (გერმანია)**
1:0 ადებაიორი (44), 2:0 ვინო (90)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ჰამბურგი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| სლავია | 2 | 1 | 1 | 0 | 6:4 | 4 |
| ვიკინგი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| მონაკო | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| ცსკა | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |

### B ჯგუფი

**ესპანიოლი (ესპანეთი) 1:1 პალერმო (იტალია)**
0:1 მ. გონსალესი (44), 1:1 მოიზესი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პალერმო | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| ლოკომოტივი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| ესპანიოლი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ბრონდბიუ | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| მაკაბი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |

### C ჯგუფი

**ჰალმსტადი (შვედეთი) 1:3 სამპდორია (იტალია)**
1:0 დიურიჩი (18), 1:1 ვოლპი (31), 1:2, 1:3 დიანა (67, 86)

**ჰერტა (გერმანია) 0:0 ლანსი (საფრანგეთი)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტიაუა | 2 | 1 | 1 | 0 | 4:0 | 4 |
| სამპდორია | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ლანსი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| ჰერტა | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| ჰალმსტადი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:9 | 0 |

### D ჯგუფი

**ალკმაარი (ჰოლანდია) 0:0 მიდლსბრო (ინგლისი)**
ალკმაარი: ტიმერი, სტეინსონი, იალენსი, მატიისენი, დე კლერი, ლანძაატი, შაარსი, სეკტოუ (მეერდინკი 61), ვან გალენი, კ. პერესი, არველაძე (კოევერმანსი 77)
მწვრთნელი: ლუის ვან გაალი
მსაჯი: ჯანლუკა პაპარესტა (იტალია)
8 436 მაყურებელი

**დნიპრო (უკრაინა) 0:2 ლიტექსი (ბულგარეთი)**
0:1 ნოვაკოვიჩი (72), 0:2 ნაზარენკო (90ს.კ.)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიდლსბრო | 3 | 2 | 1 | 0 | 4:0 | 7 |
| ლიტექსი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| ალკმაარი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| გრასჰოპერი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| დნიპრო | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | 0 |

### E ჯგუფი

**ტრომსიო (ნორვეგია) 3:1 ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)**
1:0 ბერნიე (22), 1:1 ჟიგიჩი (23), 2:1, 3:1 არსტი (36, 74პ)

**რომა (იტალია) 1:1 სტრასბური (საფრანგეთი)**
0:1 ბელაიდი (52), 1:1 კასანო (73)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტრასბური | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| რომა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ტრომსიო | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| ბაზელი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| ცრვენა ზვეზდა | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |

### F ჯგუფი

**ცსკა (რუსეთი) 2:1 ლევსკი (ბულგარეთი)**
1:0, 2:0 ვაგნერ ლავი (49, 74), 2:1 დომოვჩისკი (90)

**მარსელი (საფრანგეთი) 1:0 ჰერენვენი (ჰოლანდია)**
1:0 ტაივუ (90პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარსელი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| ცსკა | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ლევსკი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ჰერენვენი | 3 | 0 | 2 | 1 | 0:1 | 2 |
| დინამო | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |

### G ჯგუფი

**პაოკ (საბერძნეთი) 1:2 შტუტგარტი (გერმანია)**
1:0 კარიპიდისი (48), 1:1, 1:2 ლიუბოია (85, 90პ)

**შახტარი (უკრაინა) 0:1 რაპიდი (რუმინეთი)**
0:1 მალდარასანუ (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| შახტარი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:1 | 6 |
| შტუტგარტი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| პაოკ | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| რენი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

### H ჯგუფი

**ზენიტი (რუსეთი) 2:1 სევილია (ესპანეთი)**
1:0, 2:0 კერჟაკოვი (11, 88), 2:1 პუერტა (89)

**გიმარაეში (პორტუგალია) 1:1 ბოლტონი (ინგლისი)**
1:0 საგანოვსკი (85), 1:1 ვაზ ტე (88)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზენიტი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| ბოლტონი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| სევილია | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| გიმარაეში | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ბეშიქთაში | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | 1 |

# როიალ ლიგა

## ჯგუფური ეტაპი. I ტური. წუხელ

### A ჯგუფი

**მიდტიულანდი (დანია) 4:0 ვოლერენგა (ნორვეგია)**

**სტარტი (ნორვეგია) 2:4 ჰამარბი (შვედეთი)**

### B ჯგუფი

**ლილესტრიომი (ნორვეგია) 0:0 კოპენჰაგენი (დანია)**

### C ჯგუფი

**ლინი (ნორვეგია) 1:0 გიოტებორგი (შვედეთი)**

**ოლბორგი (დანია) 1:3 იურგორდენი (შვედეთი)**



# ორძელზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოხტაა, ნამდვილად კოხტაა. ეგებ ჩემპიონი არც არის, მაგრამ ფრანგული გრაცია კი შეიგრძნობა. იზაბელ სევერინო შესარჩევ ვარჯიშს ასრულებს ორძელზე, მელბურნში კი ტანვარჯიშის 38-ე მსოფლიო ჩემპიონატი მიმდინარეობს.

# დიდი ამბავი ფაისალაბადში

ო-ჰო-ჰო, დიდი კრიკეტობაა ფაისალაბადში, პაკისტანი ინგლისს ეტესტება. მეორე მატჩის მეოთხე დღეა და გრძნობებიც გახურებულა. მასპინძელი სალმან ბატი ტაფელით იცავს თავის ქალაქს.






# ბრძოლების წინ

გოლფის დიდი სლემი ჰავაიში, პოიპუ ბეის გოლფ კლუბში თამაშდება. მთელი ვარსკვლავები აქა დგანან და ჯილდოს შემხედვარენი ხალისობენ. ამერიკელი ტაიგერ ვუდსი, ახალზელანდიელი მაიკლ კემპბელი, ამერიკელი ფილ მიქელსონი და ფიჯელი ვიჯეი სინგჰი.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე
კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ლარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე
სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ოთარ მაღლაკელიძე
ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხურიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge